

კაჟა ეტზისელო

კოლხური
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „ანკარსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად


2020



საქართველოს მწიგნობართა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

ტომი 23

2020



მთ. რედაქტორი

დენიზა სუმბაძე

ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, საქარ-
თველოს მწერალთა, მეცნიერთა
და საზოგადო მოღვაწეთა
საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“-ს წევრი.

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაინის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-830-4 (23 ტომი)



* * *

ვაჟა ებრისელი დაიბადა ხოგის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ღმერთის მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღმქანდა რა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფილოზოფ ტიუტჩევის ღმერთი და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ღმერთის მომცველი ერთტომეული – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნავი“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძეგლია იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ღმერთი დასტაგებული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცენიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს გვირაღთა, მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწესა ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს გვირაღთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალატიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლობელისა და „დიოკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს გვირაღთა მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანდგომის მმართველობა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, სპარტოველეს განათლებისა და სპარტოველეს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური უსაღმუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსაღმუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზიდენტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე შესრულებული ტომეტი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსაღმუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადასრულია დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანტიკომედი, აბრეთვე, პრეზიდენტის მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) სამრ(ო)-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსაღმუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „სპარტოველეს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მძვინვარე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





კოეტის ასტრომეული „კონსიუმი კოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, დემეტრი არ მიუყვანს რომ ვეზა-დარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონას, რომ ახანჯარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა კოეტის ზღაპრული კონსიუმი „უსაღმუნები“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტვინიანი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათოქმეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეტს არა ვბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არმის ჭალაში მდგარი მუხაა, რომელიც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, კელაზგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზზე, კოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნების“ იბაგვიუვლომელი ასტრომეული დაკიდა და ბაანოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათოქმეულზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნდალული ისტორია, რაც კოემერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითვია.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი კოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დღემდე...
კონსიუმი კი...
დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველუქავი მისწოლია... მათ იცინან იმ იწყება დღემდევის ისტორია“.

ბულნაზ ხარაიჭვილი

კოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი



„გულცივად ვხეზვდი ყოველ ქებას, ყოველ ძაბებას“.

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მამბიმრ

(გაგრძელება)

რა მართებულად მიუთითებს ცნობილი კრიტიკოსი გიორგი გაჩეჩილაძე წიგნში „სულიერი გამოცდილების ისტორია“, როცა წერს: „ციტადელი“ სიმბოლური სათაურია, ეს არის დედაციხე, ურყევი სიმაგრე, ბურჯი, თითოეულმა ადამიანმა მხოლოდ სულის მყარი ბაღავრის ჩადგმით შეიძლება დაიმკვიდროს კაცური ღირსება და სულის სიმშვიდე. ეს ციტადელი კი ეთიკურ ღირებულებათა ის ერთობლიობაა, რომელთა გარეშეც ადამიანს სულიერი ცხოვრება არ შეუძლია. ადამიანის მოთხოვნილებაა საკუთარი ქვეყნის, სისხლის, მოდგმის, ტრადიციების სიყვარული. საჭიროა მათი მოვლა და შენარჩუნება, რადგანაც იგი ვერასოდეს ვერ გაიმშვენებებს ტაძარს, თუნდ ყოველ წუთში თავიდან იწყოს მის შენება“. ანდრე მორუა თავის „ლიტერატურულ პორტრეტებ-



ში“ ეგზიუპერის ამ რომანს მისტიური ჰეროიზმის უკანასკნელ სიტყვას უწოდებს.

საგულისხმოა ის, რომ დუმილი რჩეულთა ხვედრია, და დუმილის ატმოსფეროში განცდილი ზენაარ საწყისებთან განცდილი გრძნობები ვაჟა ეგრისელს ესმის, როგორც ანგელოსთა გალობა, უფლის ხმა.

ჩემი ღრმა რწმენით ეს არის მისი არსებობის კოსმიურ მთლიანობასთან შეხმთანების ვნებად ქცეული ენერჯია.

„ცის უზარმაზარ სრა-სასახლიდან –
მიმწუხრმა ჩუმად
გადმოკიდა ტოტი ძახელის,
დუმს ჩემი ფიქრი,
ნალევ მთვარის
ქვაზე ნალესი.
მადლობა უფალს
მესმის ძახილი
უუმორესი და უზენაესი“.

აქ იდუმალების ატმოსფეროა განცდილი მთელი თავისი სიმძაფრით და შინაგანი სამყაროს შეურყეველი ძალით, რომ ფიქრი, დუმილი, განუყრელად, მოუცილებელად ადევნებია ადამიანის მთელ არსებას.

„ვაჟა ეგრისელი-დოღბ-აია წარღვნამდელი ცივილიზაციიდან გადარჩენილი „აია“ ხალხის ღირსეუ-



ლი შთამომავალი და კოლხ-იბერიული მოდგმის ნა-
შიერთა უკვდავი ეროვნული პოეზიის კიდევ ერთი
დიდი, ნიაზად მჭკვერმეტყველი პოეტია“...

ამირან ცამციშიელი-ფიცხელაური

აკადემიკოსი.

ვაჟა ეგრისელის პოეზია მიგვანიშნებს სინამდვი-
ლის, სამყაროს ახალ-ახალ განზომილებებზე. ჭეშმარ-
იტიებას გვაზიარებს საგანგებო პოეტური ხილვები,
პოეტის სულის სარკეში არეკლილია საქართველოს
ისტორიული წარსული, აწმყო და მომავალი. ფარდის
მიღმაა განჭვრეტილი ბუნებისა და საზოგადოების
უმნიშვნელოვანესი ძვრები და მოვლენები. პოეტის
სამყაროში წარსულის სხივი იქცა მომავლის ნათ-
ლის სვეტად. ამასთან ტრადიციებიდან გამომავალი
გზები და ნოვატორული ძიების შესაშური ტალანტი
და თანამედროვეობის პრიზმაშია გადატეხილი სი-
ნამდვილე მომავალი თაობების უკვდავების გარან-
ტია.

„ისუნძლება სივრცე –
ღურჯი მტევნებით ქარვის,
მსხმოიარე მნათთა მწკრივს მიყვება მწკრივი...
ცას კი ხელით უკავია მთვარე,
ვით სასხლავი.



მზე რომ გარდიცვალა,
ღამე, როგორც ქვრივი –
უცებ შეიმოსა შავი მოსასხამით“.

ეს ლექსი საგნებისა და მოვლენების ორიგინალური ჭკვრეტის სიმბოლოა. ვაჟა ეგრიხელი საოცარი სიფაქიზითა და სითამამით ქმნის ნათელი ხილვების დასურათხატებულ ამ სამყაროს და თითოეული ჩვენგანის სულის განუყოფელ ნაწილად აქცევს მას. ერთ ლექსში პოეტი ამბობს:

„ჰყივის სიცოცხლე...
და ჩემი ფიქრი,
კვლავ მიუყვება
ვარსკვლავების
ყვითელ ქვაფენილს.
და გზად აწყდება უკვე მესხედ,
ღამის მიღმიდან გადმონაფრენი:
მთათა გალობა,
ზღვათა სევდა,
მიწის გნიასი“.

ამ ლექსში ვარსკვლავებით მოფენილი ქვაფენილი და ზღვათა სევდა, მთათა გალობა და მიწის გნიასი სწრაფვან სიცოცხლის მარადიულობისაკენ, ქვეყნიერების გადარჩენისაკენ. პოეტის რწმენით სიყ-



ვარული, ერთგულება და რწმენა გადაარჩენს სამყაროს. სულიერი ფასეულობების ჭეშმარიტი შემქმნელი სიცოცხლის გაგრძელებას თავის პოეზიაშიც ხედავს. ამოუწურავია მისი სიღრმე და თანაგრძნობის საუნჯე აღსავესე სიყვარულით:

„შორეთის ფსკერზე –
მოციმციმე ნათელს
ვუჭკვრეტი,
ფერებში მხოლოდ მე მიყვარდა –
ჩემი ქართული
ლაჟვარდი,
ცას რომ შეაბოლებს ლურჯმა იებმა.
და ანთებული წმინდა სანთურით,
დაფნას ჩემსავით აქ
არავინ
არ ეძიებდა“.

პოეტი ვაჟა ეგრისელი როგორც ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი, მტკივნეულად განიცდის უამთა დინებას, რომელიც „თვითონ მთებმაც ვერ შეაჩერეს“ და რომლის გარღვევად შედეგსაც კიდევ ერთხელ ახსენებს „დაშლილი ციხის გალაგანთან დაყრილი ქვები“. სად გაქრნენ ის პირტიტველა მეციხოვნენი, რომელთაც თვალებში ედგათ საქართველოს ცა და



ამინდი?“. ვაჟა ეგრისელმა ისტორიის მტკვერი ჩამობერტყა მათ სახელებს და მათი ადამიანური ხატის მშვენიერებასაც გვაზიარა.

სიყვარული, „ზექვეყნიური სიყვარული“ ასხივოსნებს პოეტის სულს. ის უმდერის სიყვარულის ისეთ ძალას, რომელსაც ადამიანისათვის მოაქვს ძვირფასი, ამადლებული განცდები, ბედნიერება, სიხარული. პოეტის ცხოვრებაში არ ყოფილა ისეთი მომენტი, რომ იგი გულგრილი ყოფილიყო ამ მარადიული თემისადმი. საოცარი სურათია დახატული შემდეგ ლექსში:

„იასამნების ლურჯი გალობა,
მთვარეულ გზებით მოედინება.
შენ შორს ხარ,
გულმა სიახლოვე კვლავ დაიჟინა
და სიყვარულის მაღალ ციდან
შენი დუმილი
ჩემთან ჩამოდის მნათობების –
ფერმკრთალ ყიჟინად“.

ჭეშმარიტი გზა სიყვარულისა – ესაა გზა მშვენიერ საგანთა უმაღლეს მშვენიერებაზე თანდათანობით გადასვლისა. ესაა მშვენიერება წმინდა, შეურყენელი და შეურყენელი კაცის ხორცით, ფერებითა და



სხვა ხრწნადი გარსით შებღალული კი არა, ერთსახოვანი ღვთაებრივი მშვენიერება.

ბევრ ლექსში პოეტი გვესაუბრება, ტრაგიკულ, უარყოფილ სიყვარულზე, მაგრამ ძლიერი ნებისყოფა მზად არის გაცრუებული სიყვარულის განცდები გადახარშოს საკუთარ გულში, ხოლო ადამიანებს ელაპარაკოს გამირობაზე და ცხოვრების სილამაზეზე:

„ჩემი ცხოვრება ზღვად გაშლილი იალქანია,
ირველივ ღელვაა და ნაპირი არსად არ ჩანს,
და აწ გარდაცვლილ ჩვენს სიყვარულს
დიდი ხანია,
რაც ჩვენი ხსოვნა უდგას დარაჯად“.

პოეტს ურყევად სწამს და სჯერა ის ჭეშმარიტება, რომ ვისაც არ უყვარს, მან ვერ შეიცნო ღმერთი იმიტომ რომ ღმერთი სიყვარულია. იოანე მოციქული კი გვეუბნება: ‘ვიყვარებდით ურთიერთას, რამეთუ სიყვარული ღმერთისგან არს და ყოველი რომელსა უყვარდეს, ღმერთისგან შობილ არს და იცის ღმერთი, რომელსა არა უყვარდეს, მან არ იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყვარული არს“.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში სიყვარული არსებობს როგორც მოულოდნელი საჩუქარი, პოეტური და ყოველმხილველი, სწამს და სჯერა ჭეშმარიტი სიყვარულის ფასი და ძალა.



სიყვარულის ძღვევამოსილება კოლორიტულადაა
წარმოჩენილი შემდეგ ლექსში:

„თვალეში ისევ ყუჩობს მოწყენა –
შუბლდასერილი სიმარტოვის
შავი ფალანგით.
ტანზე აცვია გაზაფხული,
ვით აკვალანგი,
და შენს დაკარგულ ღიმილს
დაექებს –
ხსოვნით შებურვილ
ზღვის უსაზღვრო
მღუმარებაში“.

ან:

„იმედები, ვით განთიადები
კვლავ ამოდიან –
სიმყუდროვიდან
და სიხარულით ისევ მიქნევენ
მოვარდისფერო დროშას
მთომენის.

ამ გაზაფხულზე
შენზე ფიქრებით
და სიმღერებით შევიფოთლები“.

„გაუა ეგრისელის პოეზიაში სულჩადგმულია
ყველაფერი: ცა, დედამიწა, ვარსკვლავები, ქვები და



ხეები, ზღვა და ქარ-წვიმა, ღრუბლები და ხეთა აწ გარდაცვლილი და ფეხქვეშ გაგებული ფოთლები. სულიერების უმაღლესი გამოვლინებაა სიყვარული“ – ბრძანებს აკადემიკოსი კოტე მელაშვილი.

ღიას, ვაჟა ეგრისელის დედამიწა თუ სამყარო დიადი სულის შებერვით სუნთქავს. აქ ყველაფერი კენჭი, ვარსკვლავი, ბალახი, ნისლი, ქარი, ადამიანი ყველა ერთ მოძრაობაშია და ყველაფერს სიცოცხლის დიდი ძალა აღამაზებს. ყველგან სიცოცხლის სიწმინდე და ხასიათის მგზნებარებაა. ყველგან სიკეთის თანაგრძნობის, სიყვარულის მარადიული ნათელი ბრწყინავს. ყველაფერი გარს ევლება ადამიანს, როგორც მთელი კოსმიური აზრის მიმცემს და წმინდა, ამაღლებული მიედინება უსასრულობისაკენ მამულის, ერის სიცოცხლე.

ვაჟა ეგრისელისათვის უმთავრესი და უმდიდრესი ღირებულება ადამიანია, რადგან მასში ეგულების აურწყველი წადილი და ზღვარდაუდებელი სწრაფვა სისრულისაკენ.

პოეტი ყველასაგან გამორჩეულია მაშინაც როცა სიყვარულს უმღერის. იგი მაღალმხატვრული ფერწერული სურათების შექმნით გვაგრძნობინებს სიყვარულის მძლეთამძლე ძალას და უდიდეს სულიერ სიფაქიზეს გვანიჭებს.

სიყვარული პოეტის მიერ მარადიული ჰარმონიის თანამდევნი გრძნობაა და მისი ამ დონეზე შენარჩუნე-



ბა ოდენ ზღვის თანხმირებითაა შესაძლებელი. ვაჟა ეგრისელი ეტრფის უმწიკვლო, ამადლებულ ღვთაებრივ სიყვარულს. პოეტის გულს სპეტაკი და ჰაეროვანი სიყვარული ანიჭებს ბედნიერებას. ის ყველგან ეძებს ძალას, რომელსაც შეუძლია ადამიანი აამაღლოს სრულყოფილებამდე და ბედნიერი გახადოს.

ჭეშმარიტ გრძობას და უფაქიზეს გულს ზუსტი პოეტური სახე და სიტყვა აქცევს ნამდვილ პოეზიად:

„ქარიშხალივით დაცხრა სურვილი,
დაუნჯდა მზერა –

მოლოდინის კარს მიჯაჭვული,
შედგა იმედი მომყუდროვე საღამოების,
გული კი...

გული შენით ტანჯული,
გადაიწვა სიყვარულისაგან.

ამ ლექსში აზროვნება შინაგან მფეთქავ ძარღვსაა დამორჩილებული და მაინც სასიამოვნო და მომხიბვლელია ემოციური მუსიკა.

ღირიკული პერსონაჟის იდუმალებით მოცულ შეხვედრასთან, მაგრამ ამავე დროს ჭეშმარიტი სიყვარულის წრფელ განცდასთან გვაქვს საქმე, როცა ეგრისელის ლექსს ვკითხულობთ:



„მე შენ მიყვარდი...
სხვა არაფერი,
მსურდა ხერეღიდან ამომეყვანა
ექვთ
და მესხნა სიმშვიდე სხეების.
სხვა არაფერი...
მოწმე
არის ცა და ქვეყანა
და თოღიების თეთრი ფრთებით –
გაცრიღი
ზღვები“.

აქ ექვთის ხერეღიდან ამოყვანა და თოღიების თეთრი ფრთების გაცრიღი ზღვები ისეთი მეტაფორული სახეებია, რომელთა საშუალებითაც ნიღვრად მოედინება ძალა დიადი გრძნობისა. ადრესატის მიმართვის ფორმით რომ სულ უფრო და უფრო ძლიერდება. ექსპრესიუღობა ემატება ერთხელ ნათქვამს და შენიღთების სურვიღი ყოვეღგვარ ზღვარს სციღღდება.. ‘თოღიების თეთრი ფრთებით გაცრიღი ზღვები“ ისეთი ესთეტიკური სიამოღვნების მომგვრეღია, რომ გვარწმუნებს სიყვარუღის მძღეთამძღეღობაში.

დაბეჯღითებით შემიძღია ვთქვა, რომ პოეტმა ვაჟა ეგრისეღმა, როგორც თავად დიღმა გაღაკტიონმა ხაზი გაუსვა თავისი სიყვარუღის განსაკუთრებუ-



ლობას. „ჯერ ყველასაგან მიუკვლევი, აღმოვაჩინე მე სიყვარული“. („დადგა აგვისტო“).

ვაჟა ეგრისელი ამბობს:

„ვით მზე დილისაკენ მოვგელაობ
და მოვისწრაფი,
თუმც შიში მაკრთობს შენსკენ მოხედვის,
სხვისთვის? რა ვიცი,
მაგრამ ჩემთვის ხარ ჯოჯოხეთი,
მე შენ მიყვარხარ!“

პოეტისათვის სიყვარული მარადიულია, ის მოკი-
აფე ცისკრის ვარსკვლავია, მუდამ ჩაუქრობელი და
მოკაშკაშე, რამეთუ:

„ცივი დუმილით და სიმყუდროვით –
ღამე გადრიკეს მნათობებმა
გამთენიისას,
შეწუხებული შავი ფერი თეთრით იცვლება,
ცისკრის ვარსკვლავი, კარგო ჩემი სიყვარულია,
ახლოს ვერ ბედავს და შორიდან გელაციცება“.

ამ შემთხვევაში ვაჟა ეგრისელი ქმნის და ამ-
კვიდრებს, სათავეს უდებს სიყვარულის მარადიულო-



ბის ორიგინალურ, სხვათათვის ძნელად წარმოსადგენ განცდას.

სიყვარული პოეტის რწმენით მუდმივ მოფხიზლე გრძნობაა, რომელსაც მუდამ ელოდებიან და როცა მოლოდინის მძაფრი სურვილი გახშიანდება, პოეტი შთამბეჭდავად ახერხებს სამყაროს თავის თავში ჩატევას, ერთი დაკაკუნებით მოლოდინის ცივი კარების გახსნას და ამ ყოფაში უკვე მკითხველის არსებაში იწყება სულის ფორიაქი იმ მომხიბვლელი მეტაფორებით გამოწვეული, რომელიც სულს გიახლებს და სინედლეს და სინატიფესა შეგაგრძნობინებს:

„ცის დარბაზებში სძინავთ ვარსკვლავებს,
ღრუბლების ბალახს

მთვარე არ ძოვს

ღამის ჭალაში.

ტალღებსაც სძინავთ ზღვის დიდ მკერდში

უხმოდ ჩაკრულებს,

შენ კი არ გძინავს,

სიყვარულო,

და ნეტარებით,



გულის დირეზე მხოლოს ერთხელ
დამიკაკუნე,
და განიხვნება მოლოდინის
ცივი კარები“.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ზღვა და სიყვარული, უფრო სწორედ მათი ურთიერთობა ქმნის აზრისა და გრძნობის იმ მომწუსხველ გამას, რომლის ერთიანობაშიც სიცოცხლის მარადიული და სიყვარულის გადამრჩენი ძალა იღანდება. აქვე აუცილებლად მიმანია მოვიტანო ერთი ლექსი, რომელშიც სიყვარულის გაცხადებისა და ზღვის ძლევა მოსიღების კოლორიტული წარმოჩენაა:

„მენარგისება ცა –
თუთარჩელა.
და ჩემს სიშორეს წუხს ზესკნელი
და ვარსკვლავები.
ზღაპარში ყვინთავს შავი ზღვა და
ჩემი ოდიში.
– დრო რა მოკლეა ქალის მკლავებზე
და რა გრძელია მის მოლოდინში“.

ამ ლექსში მართლაც საოცარი სისადავით იკვეთება ლირიკული პერსონაჟის ჭკეშიარტი განცდა. მოსაწყენი გრძელი დროის სწრაფად გარბენისა, რომ



„დრო მოკლეა ქალის მკლავებზე“. ვაჟა ეგრისელმა თვალწარმტაც მხატვრულ ფონზე გვითხრა, რომ სიყვარული სამყაროს გადარჩენის იმპულსის მატარებელია და ადამიანის სულის განმასპეტაკებელი.

„მე დავიკარგე შენს უდაბნოში –
თეთრი დღეებით
და გვირგვინებით,
და მწვავედა შენი სიახლოვის
ცეცხლი
მზისებრი,
მაგრამ მღელვარე
სულს მიგრილებდნენ –
შენი თვალების ოაზისები“.

ასე მიემართება მკითხველისაკენ ვაჟა ეგრისელის გზა სატრფიალო ლირიკაში.

„ვაჟა ეგრისელის პოეზიის უსამანო სივრცეში რომ მოხვდე, ისე გაგიტაცებს, ვითარც ამურს ქერუბიმები ზეცაში მოკიაფე ვარსკვლავთა შორის. მისი პოეზია ღვთაებრივია, ხოლო შთაგონების უძირო ზღვიდან ამოდებული სტრიქონები ასე გგონია: ფერწერული ტილოებია, რომლებიც წლების განმავლობაში შენს გვერდით იხატებოდა და შენ არ იცოდო...“

პოეტის ფიქრები მნათობებივით მიეღწვიან ზესამყაროს და არ გრძნობენ სიმაღლის შიშს... და




დაფრინავს უსახდეროებაში ვაჟა ეგრისელის მზით მოსილი პოეზია. სულის სიღრმიდან ამოშადრევნებულ, ფიქრმიუწვდომელი შთაგონება და სიყვარული. მუზა დიდებისა. უბერებელი და ადრე დაბადებული, მესამე ათასწლეულის პოეზია“. (ნარიძან იაშაღაშვილი, მწერალი.)

სიყვარულის მარადიულობის, სიყვარულის გაუკვდავების ასეთივე ფერწერულ სურათს ხატავს პოეტი შემდეგ ლექსშიც:

„დღეებს ისევ სურთ ჩვენი შეხვედრა
და სიხარულის ყვავილებით
ისევ ირთვება.
თუმც სიყვარულის წლები გავიდა.
ვეღარ იქნა და...
მოგონებების ღურჯი ზვირთები,
ვერ ამოვხაპე ხსოვნის ნავიდან“.

ვაჟა ეგრისელის პოეზიას ბოლომდე გასდევს სიყვარულის, საოცრების, მოლოდინის სევდა, ფიქრის, ღუმილის განცდა და მაინც პოეტის უმშვენირესი სურვილი გაცხადებულია შემდეგ სტროფში:

„მოდის...
მოღელავს ცას და მიწის შუა
ღამე უმთვარო



და უნაპირო.
ქუხილი ჩემი ძახილი,
მინდა გაიგო,
რომ ისევ მოვკრეფ
ცის ტოტებზე ღალსა და საფირონს
და კვლავ მოგართმევ ვარსკვლავების ძვირფას
თაიგულს“.

ციალა მუსხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწევები წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)*

გაგრძელება შემდეგ ტომში



* * *

მარადისობის ოკეანეში,
შემოჯარული მნათთა
გიშერთ,
ისევ ირწევა მთვარის აკვანი.
და ელვის ხელებს
ჩუმად გვიშვერენ,
სადღაც ცის იქით ბინადარი
პაპის-პაპანი.

1962

* * *

ასე დიადი და საკვირველი,
ცის ტოტზე ზიხარ,
როგორც ფრინველი.
უპირველესი ქურუმი ხარ
რეა-კიბელეს*,
მზე და მთვარეზე სიმღერების
მსხვერპლთ შემწირველი.

1979

* რეა-კიბელე – დელათა დელა, დელამიწაზე.



* * *

სიმყუდროვიდან ამოფრქვეულმა,
სინათლის ტალღამ გადმოლახა
ღამის ნაპირი
და ცას ევსება ვარსკვლავებით
ღურჯი თვალები
მდინარეები კუდს იქნევენ
გველეშაპივით,
შავი ღრუბლები სადღაც წვიმას
მიყრანტალევენ...

1967



* * *

ისე, ვითარცა უფლის წყალობა,
ციურ მანანად გვაცვივა ნამი
და შორით მოჩანს
მთვარის კათედრა.
მთელი სიცოცხლე –
დღისით და ღამით:
მივალთ სიკვდილთან ჩვენ შესახვედრად.

2008



* * *

ელვა –

უფლისკენ გზაა მიმავალი,

ღღე და ღაძე –

სკილა და ქარიბდა, –

გვდარაჯობს და კარებს

კეტავს.

იქუხა...

ცა უცებ გარინდდა,

რა ჩაიფიქრა ნეტავ?!

1970



* * *

მთა დედამიწას შიშით დაჰყურებს
და ზღვა,
სიმაღლეს
სივრცეს შესტირის.
უსაზღვროების ოკეანეში,
მთვარე გამოჩნდა, როგორც მეტივე
და ცას დაუსვა ვარსკვლავების
მრავალწერტილი.

1965



* * *

მარადისობის სიმარტოვეში
ხარობს,
ბიბინებს უამთა ბაღასი.
დედამიწაზე ისევ დგება სისხლის
მორევი:
აღარც ღმერთი ჩანს,
აღარც ალაჰი
და შენ, შენს ალში იწვი
ისევ მეტეორივით.

1994



* * *

ქრისტეს კი არა,
სდევ იაღოვას,
რადგან არ იცო
სიცოცხლის მადლი.
დადიხარ? - არა,
ეს შენ დალოდავ,
რადგან შენა ხარ ჭია
და მატლი.

2003



* * *

გვიჯავრდება მოკვდავთ ზენა,
და დღეები ისევ მკაცრობს:
ხმა არ ისმის დოღ-წინწილის.
მსურს,
ჟამს ლექსი გამოვტაცო,
ისე, როგორც ქორს – წიწილი.

2005



* * *

სიცოცხლე რაა,
თვითონ სიკვდილიც,
ვხედავ და ვიცი, დამაგვიანდა
და ცას და მიწას მიტომ ვეღები.
ვეღარ გნახულობ,
მაგრამ ნიადაგ,
უზენაესო, ისევ ისე შეიმეღები.

1998



ჯრუჭის ოთხთავი

გაკრთება ელვა

და ურწმუნოთა

ყორნებს წარსულის კლდეებს

მიაშლის...

სამშობლოს ჩემსას –

ულხინოს თუ უჭირს:

თოვს და თოვს სიბრძნეს –

„ოთხთავი ჯრუჭის“

ცივი სინათლის ღამის წყვილადში.

1971



* * *

საიდანღაც მოვარდნილმა,
ღვარცოფმა თუ
ქარის ხელმა,
წამს გაწვევიტა ჯაჭვი ბორნის.
ჩაიკლაკნა ბნელში ელვა,
ვით ქვესკნელში აქერონი.*

1973

* აქერონი – მიწისქვეშეთის მდინარე.



* * *

ასე ეწადა ალბათ განგებას,
მის ნებას ქვეყნად
ვერავენ შეცვლის,
მიტომ წაქცევად მიიღტვის პიზა.
მაგრამ შენ უამი
ვერაფერს გიზამს, –
მონათლული ხარ წყლითა და ცეცხლით.

2007



* * *

ქარის ბილიკით მოსული ღელვა,
მშიშარა ნაპირს მოადგა
და შავად ირთვება.
ლახტვიით იქნევს სადამო ელვას,
ზღვის ხეს –
ფოთლებად ცვივა
ზვირთები.

1989



* * *

რაც განგებით იხილე,
ცოცხალ პოეტს ამქვეყნად,
ღირსებია არავის:
ვარდის ელვარება და
სისპეტაკე კარავის.

1976



ხილვა: წარსული

ელვად ურარტუს გზა მიდის,
შუმერის მიდის –
ქუხილად.

ირევა ჟამთა ამინდი,
დღეები წარსულს ელტვიან...
ვით მოსეს,
შენც ვინ დაგიშლის,
უდაბნოებში ხეტიალს...

2002



* * *

ისმენ ციურ გალობას
და ბედს მაინც ემღური,
კაცი რკინის მკვნეტელი.
სადღაც ტრანცენდენტურში*
იდუმალად მჭვრეტელი.

1971

* ტრანცენდენტური – (ლათ.) რაც საზღვარს სცილდება.



* * *

ღამე უყრის დილამდე
ვარსკვლავების ნაკვერხსლებს,
ისმის ქშენა ცის ქურის –
და მზე ბუდეს იკეთებს...
შენ კი დედამიწაზე,
ვით პავლე მოციქული,
თესავ მარცვალს სიკეთის.

2001



მედი სსსაფლარ

დღეებს წაუშლიათ პირწმინდად,
საფლაგის ქვაზე რაც ეწერა
და ისმის სულეების გოდება.
ქვეყანა ქცეულა ეწერად,
ყველგან ჯვრებია და
ლოდები,
ვითარცა სიკვდილის ხელწერა.

2007



* * *

შენში დარგულ ცხოვრების ხეს,
მარად უნდა ეშრიალა,
მაგრამ დაუპყრია

პითონს.

ღმერთი შენში მოჰკლეს ვითომ?!

არა ჩემო,

იდუმალად შენში არი.

1963



მზე, სიტყვა და მაღალი ცა

უსამანო ეს საწუთრო –

გწვავს დღეებით,

და ქედების

მარად მედინ ალალითა.¹

მაგრამ სულს ეიმედება:

მზე,²

სიტყვა³ და მაღალი ცა.⁴

1977

¹ ალალი – ქარავანი

² მზე – მამალმერთი

³ სიტყვა – ძე ღმერთი

⁴ მაღალი ცა – მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლო



სქილასა და ქარიბდს

მზერა ორი ურჩხულის –
სქილასა და ქარიბდის,
წამით აღარ გაშინებს.
გრძნობ, უამი რომ ოთხ ფიცარს
ჩუმად აშალაშინებს,
მაინც თვალთა ისარი –
ზეცისკენ გაგირბის.

2008



* * *

იჭვი ააგე ფიწალს,
ნულარ შეგაკრთობს წამით,
შავი ღრუბლების სისქე.
ნუ დააკვდები მიწას,
მზერა გასტყორცნე
ცისკენ.

2003



ჩანს კარიბჭე ქუბრონის

მოსდებია სამყაროს –

საბოთის ნაგრამი:

(წყალზე მიდის თებრონე.)

ბღავის ფარა –

აბრამის,

ჩანს კარიბჭე ქუბრონის.

1980



ისევ ქართული ფრთები

შეგუმბლული სინათლით,
ბნელში ხელის ფათურით,
ცისკენ –
მარად იურვი.
და მიგაფრენს „ქართული
ფრთები“ –
მარადიული.

2008



ტუია სსსაფლავი

მარმარილოს შავ სარკიდან
იყურება მამა-შვილი
და ორივეს ჩანს პროფილი.

დგას ტუია¹ –

თმაგაშლილი,
ვით მარადი ნეკროფილი.²

1983

¹ ტუია (ბერძნ.) მარადმწვანე დეკორატიული ხე.

² ნეკროფილი – სიკვდილის სიყვარული.



ადამის კეო

მზის ნახვის დიდი დღესასწაული,
რადგან გარგუნა
ბუნებამ ბედად.
და ცისქვეშეთში სიცოცხლედ იშვი.
ნუ ხარ „მაღალი და
მაღლად მხედი“,
ადამის ძეო! გქონდეს ღვთის შიში.

2001



მერჩულესა და მთაწმინდელთ

მზის ხილაბანდით შუბლწაკრული,
გარდასულ დღეების
ნათელი –
სულ უნდა ათოვდეს...

აწვიმდეს:

ხსოვნას ჩახრუხადის, შავთელის
მერჩულესა და
მთაწმინდელთ.

2001



* * *

ყოფნის ციხე-დარბაზი –
ნათელი და
კამკამა,
გადექცევით მრუმე ცად!
ბოლოს ეჭვი დაღუპავთ
ურწმუნოთ და
უმეცართ.

1998



* * *

ვარსკვლავთ კიბეებს მიჰყვები
მაღლა,
ელვა ხავერდად ძირს
გეფინება...
და როს მეცხრე ცის კარი შეაღე,
გარემოსილმა სერაფიმებით,
ოქროს ნაყოფი მოგაწოდა
შენმა მებაღემ.

2002



* * *

ცის ტაძარში შავ ღრუბლებად,
ღამის ნამწვავები ყრია.
საიდანღაც ვიღაც კივის:
– ნუ შეახვევ ფიქრებს წყვილადს,
შენსკენ მოფრენს
ნათლის სხივი.

1978



* * *

დედამიწას რომ ასკდება,
ზღვა არის და
მეწყერია –
რაც იტირე...
და იმღერე.
ეს ლექსები სულ დამ-დამით
გიწერია,
ვით ლოცვები,
ქვაბში დაყუდებულ ბერებს.

1997



* * *

წამს,

ცისქვეშეთს ვტყორცნე მზერა
და წუხილი დამეუფლა:
– რა მცირეა ეს სამყარო.

და ვით დავით,

შევთხოვ უფალს,
მისი ჩრდილი დამაფაროს.

2005



* * *

ამაქვეყნად ზოგ-ზოგებს,
უკვდავება აბოდებს!!!
შენ კი დიღო მგოსანო,
ოქროს გვირგვინოსანო,
ღმერთმა ნუ ქნას,
არ მოკვდე!

2007



მზახრობა წარსულში

(შუამდინარეთი)

იდიგნას¹ და ბერანუნის²

ნაპირებზე,

ვითა წინათ,

ისევ დათერეშობს შური.

და ღმერთების მეფობს შიში.

ჰყვავის ური³

და წიფური,⁴

შურუფაქი,⁵ ლაგაშ,⁶ ქიში.⁷

1991

¹ იდიგნა – ტიგროსი

² ბერანუნი – ეფრატი

³⁴⁵⁶⁷ უმერული უძველესი ქალაქები.



* * *

მარადისობის ციდან მოსული,

იქ – მასპინძელი,

აქ – კი სტუმარი.

არა ჩანს იგი, შორეული

გზის ჩამკეცავი.

და სიხარულის მზით –

იდუმალით,

სული ისწრაფვის ხილვად –

ნეტარის.



* * *

მარადისად შენში არი,
როგორც გუდა და
ნაბადი:
ზეადმტაცი სულის ვნება,
სიმაღლე და
სითამამე,
თვითმყოფი და თვითნაბადი.

1986



უზენაეს ზენათა

ღამით მთვარეს,
და დღისით მზეს,
უქრობ სანთლად უნთებდი,
რომ მარადის ენათა:
ნათლით მოხილ სიხარულს და
უზენაესს –
ზენათა.

1965



ნიცუე და ფეველო ლონბინე

ცის ედემის ბინადართ –
უშლის მთვარის ლოგინებს:
ნიცუე –
„ზარატუსტრაში“,
„ამაღლებულთ“ –
ლონგინე.

1972



* * *

ცვარი არა,
ანგელოზნი,
უფლის ნაკურთხ წყალს
გასხამენ,
სიფრიფანა პეშვით ნისლის.
მზის პერანგი შვენით დღისით,
ღამით მოვარის
მოსასხამი.

1967



მეთერთმეტი ცა

სადაც ათასწლეულები

ქრიან,

ვითა წამები

და ეთერი ეთერს მეტობს.

მეცხრე არა,

მეთერთმეტე

ცაა –

ღმერთთა სამეფო.

1977



მოსვლას აგვიანებს არღი

სიხარულის ბილიკებით
მოსვლას აგვიანებს არღი,
სურვილი აქვს ცას –
იტიროს.
ცრემლები სდით ბებერ დარდებს,
განწირულებს –
სასიკვდილოდ.

1989



* * *

შენი ყოფნის სასახლეს –
სიხარულის ცა ხურავს,
სხვა ფერის,
სხვა გემოსი.
და დევი გყავს მსახურად,
მზით და ცეცხლით
შემოსილს.

1985



* * *

ისე,

ვითა კორინთელი,

ამბავს ამბობ

შენც იგავით.

ზენამ მოგცა ამის ბედი,

რომ სულ იყო

„ცის მხიბავი“,

„მაღალი და მაღლად მხედი“.

1996



ამირან დარეჯანის ძე

მითიდან –

სინამდვილემდე,

ბევრი სიგრძე და

განი ძევს,

მიტომ არიან მტრიანი:

ამირან დარეჯანის-ძე

და ქრისტე –

ძე მარიამის.

1996



* * *

ღედა –
მიწა მოხუცი,
შვილს,
გენახა,
გითვლიდა.
და, აჰა, შენც მოხვედი,
როგორც დიდი პოეტი,
შოთრეული მითიდან.

1998



ღმერთსაც ნეტარ ავბუსტინეს

იდუმალებით შემოსილს –
შევციცინებ მაღალ ტინებს,
„დაბრკოლების ქვებით“ ნაგებს.
და საშველად ისევ ვუხმობ:
დიონისე არეოპაგელს.

1987



ქნარს უკრავდნენ...

ღამის მტერიან დარბაზებში,
ვარსკვლავები როს შეცვივდა,
მოვარე,
მიწას შუქს აფენდა.

ქნარს უკრავდნენ...

სერაფიმთა –
„გავიგონე ხმა ზეციდან.“*

1978

* იოანეს გამოცხადება –14.



თავზე პოეზიის ცა მხეურა

მირიად ვარსკვლავით მოღჭვილი,
თავზე პოეზიის ცა –
მეხურა,
ვითარცა პინდარეს და ოვიდის.
ამოვეევ ბიბლიის
საფეხურებს,
და... ჩემს კოლხეთში მოვედი.

1967



* * *

მეცხრე ციდან მოსული,
უცებ წახდა ამინდი,
(გულმა დარი ინატრა).
სამოთხეში რა გინდა,
ჯოჯოხეთის ბინადარს.

1998



ცა და ღმერთწართმეული

გრაალს აღარ ტოვებდი,
ახლაც სულში გიყვავის
და რწმენით კვლავ შეუვლი.
თუმცა დიდხანს იყავი

ცა და
ღმერთწართმეული.

1967



* * *

მთვარე ისე, ვით ესავი,
მიდიოდა „კაცებითურთ“,
და შარა-გზას მიაშობდა.
მაგრამ უცებ ცა გაავდრდა,
და მზის შეყრა,
როგორ ჰგავდა,
ძმის შეხვედრას იაკობთან.

1967



* * *

ვერ გასცურავ უამთა დელვას,
ვერც ორგიით,
ვერც მხარულით,
ცას უცნობის ფარავს რიდე.
მზეც ცოდვილებს თვალს
არიდებს,
ეს ქვეყანა ბნელითაა დაფარული.

1986



* * *

შენი გზები მთიებმა,
ვერ იქნა, ვერ მასწავლეს.
ვღგავარ შიშით მოცული
და ველი შენს
„სასწაულს“ –
აღმოსავლეთს,
დასავლეთს“. (ფს. 65-9).

1968



ორი იუდა

სულის ამოხდომამდე,
გადარჩენის იმედი,
სადღაც,
მაინც ჭიატებს,
ასე სწამდათ ორივეს:
ერთს –
იუდა მოციქულს,
მეორეს – ისკარიატელს.

1978



* * *

ვითარც მღვრიე არაგვი,
ცის კიდევებს ასკდება,
მეხთა-ტეხით დრო – მიდის...
და... „მღვიძარე სიზმარში“
ტკბილად სძინავს
ფროიდის.

1986



სიცოცხლე – ლანდის ლანდია

ჩვენ,

ჩვენ სიზმრებში ვიძინებთ,

და გაღვიძებას

ვერ ვასწრებთ,

ღღეები ისე გადიან...

ცხოვრება –

მოჩვენებაა,

სიცოცხლე – ლანდის ლანდია.

2001



ღვთის მადლი

უყურებს,

და იცის უფალმა,

ვინც ხელებს იწვდის

ან იწვდიდა –

ზეცისკენ, რომ ყველა არ ყვარობს!!!

მას ძალუმს აღგავოს

მიწიდან...

ღვთის მადლი აბრუნებს სამყაროს.

1993



იერემიას ისმის ბოღება

დღეთა იქიდან –
 ღამეული გზით მოსულები,
 ვარსკვლავები ბნელ ცას
 აბოღებენ.
დრო იყურება წარსულიდან,
 ვით ელიაზარი.
 იერემიას ისმის გოდება,
და ყრია ქვეები იერიქონის
 ვითა ცხადი და
 ვით სიზმარი.

1967



ეფემერის და ეფუთის

(ვარიანტი)

არ ეშინიათ მზის შვილებს:

სიკვდილისა და

სიცოცხლის,

(წაგებისა და მოგების)

ეფემერის და ეფუთის.

ცას ჭვრეტენ, როგორც მოგვები,
იდუმალებით შეფუთენილს.



ცხოვრება სიზმარეული

უამთა პირდია უფსკრულებს,
სიცოცხლე ველარ
ააგსებს.

შენ კი ამაყად შეუვლი:
სიზმრის ქოხებს და
ქარვასლებს,
სადაც მეუფობს მარადის
ცხოვრება სიზმარეული.

1981



* * *

შვიდთა ხელმწიფეთა სპანი,
ქართველთ გარდა,
„საზღვარს იქით გაგასხი“.
აი, დიდი კოლხეთი –
საცხოვრისი: მეგრის-სვანის,
მესხის-მოსხის-ბასხისა და
აბასხის.

1973



* * *

მზის ნაშიერი,
 შორეული ციდან მოსული,
 იმ გზას მიყვები,
ჩემს წინაპრებს რომ გაუვლიათ.
და მეც,
 მეკუთვნის მიწის ის ადგი.
 ყოველთა შორის,
 „უმეტესი სიყვარულია“.

ჰოდა,
 ვით პავლე მოციქული,
 ვცოცხლობ ღვთის მადლით.

1969



ხილვა: წმინდა გიორგი და ნინო

არსთაგამრიგე თავის ხატის შესაქმნელად,
კოლხურ მიწას ისევ მოზელს –
სიხარულმა მარადისად
რომ იწვიმოს.

ვხედავ: კაბალოკიდან,
ვით მიუძღვით –
კოლხეთისკენ ანგელოზებს –
წმინდა გიორგი და
ნინო.

1971



ხელთ გიპყრია მთიებო

ხარ ერაც და ეპოქაც,
ხელთ გიპყრია მთიები:
ქნარებად და
არფებად.
და თუ ფრთები გაშალე,
ცა კი არა,
კოსმოსიც,
არ გეყოფა საფრენად.

1969



მეფობს ციური აზრი

ზესკნელს,

ქვესკნელს და გარესკნელს

უცხო ნათელი მოჰფინოს,

მეფობს ციური აზრი:

მაღე დაუკრავს მსოფლიო –

კავკასიონის ქნარზე.

1978



✽

* * *

შავებით მოსილი ღრუბლები,
მიწას გლოვობენ და
თავზე ევლებიან.
(ქარები ქცეულან მრუშებად).
მთიები –
მსოფლიოს დედათა ცრემლებია,
ცას რომ თვალებში
უდგას და...
არასდროს უშრება.

1979



ეს ქვეყანა

მზით და მთვარით დახურული,
ეს ქვეყანა დღეს შენია.
მაგრამ მოჩანს
ბჭე – ნაპირთან,
და... იქ გელის გეჰენია,
განკითხვა და
„ღრჭენა კბილთა“.

1988



* * *

დიდხანს ვერ განინათლა,
სიავისგან კაცო-მოდგმა,
ვერც ცეცხლით და
ვერც წყალით.
ბოლოს მაინც სიკეთე,
მოფრინდა, ვით მერცხალი
და სიცოცხლის ტოტებზე
ღამაზ ბუდეს იკეთებს.

2001



* * *

ცისქვეშ ერთად ბუდობენ –

უბედობაც,

ბედობაც.

და... ვით იულიანე,

დიდი იმპერატორი,

მეც იღუმალ ჰიმნს ვუძღვნი,

მეუფეთა მეუფეს,

და „ღმერთების დედოფალს“.

1989



* * *

დასაელეთით,
ბებერ მიწას,
გადუფრინა მწუხრმა
ბინდად,
და იქუხა მესმა როცა.
ზღვა უეცრად
გაირინდა
და ცამ ელვა გაიოცა.

1962



ოჯიის პიგმეებს

შენ ხარ მარადული
და დროს არ ჰყოფ
რაუნდად,
რადგან ძალა იგემე.
თქვი: ტიტანთან რა უნდა,
პოეზიის პიგმეებს.*

2002

* პიგმეი (ბერძნ.) – ჯუჯა.



* * *

სიკვდილი ვერ გიშველის,
ჩუმად მლოცველს
ზედაზენს.

სიბრძნის გზაზე გაქცეულ
უამს თუ ვერ დაეწიე.
არჩევს ერთი მზეთამზე,
მიწიერს და
ზეციერს.

1997



ხილვა: სიონის მთა

მიღმა ათასწლეულთა,
ნათელს მხეცი მიფარავს,
რადგან მასთან ვიომე.
და ვჭვრეტ: „მთაზე სიონის“
მღვარ კრავსა და
ცხვრის ფარას.

1969



PIETA

მზე ჩადის და თვალები –
ცას ცრემლით აქვს სოველი,
რადგან დრომ გაიმეტა.
და მზის ჩასვლა ყოველი
არის დღისთვის პიეტა.*

1984

* პიეტა (იტალ.) – ნახატი, რომელზედაც გამოსახულია ჯვრიდან ჩამოსხნილი ქრისტეს დატირება.



* * *

სადღაც ღრუბლების ჩანს კუნძულები
და მოვარე მიდის,
ვით ოდისევსი,
ცისკენ იწევენ მთა და გორები.
ღამე ბნელს ამბობს,
და ვითარც კირკემ,
სურს რომ აქციოს ვარსკვლავები
ღორებად.

1963



* * *

ასე არის ყოველთვის:
 ჟამს სიზმრისფრად
 თენების,
მეათედ თუ მეასედ:
 არ მასვენებს ჭიხვინი,
 გალას „ლურჯა ცხენების“,
პარნასიდან – პეგასის...

1988



* * *

ლოდს ევარება და გითვალთვალებს,
შენი სპეტაკი სისხლი
სწყურია,
თუმცა არა აქვს ამის უფლება.
არ დაიჯერო!
ის მაცდურია,
შენ რომ უფლის ხმით გესაუბრება.

1992



* * *

დღე და ღამე ღვიძლებია,
მზე და მთვარე
არის მათი საესავი.
და ცას მიწა ენატრება,
ვით იაკობს ძმა –
ესავი.

1984



* * *

წარსულს ამოეფარნენ –
შენი ქალღვევლები,
ხელი დაგიქნიეს და
მიგატოვეს ხეთებმა.
მზეთამზე იქ გეგულის
და ცას თავზე ევლები,
ნეტავ როდის მორჩები
პლანეტებზე ხეტებას?!

1989



* * *

ჩემმა სისარულის ცამ,
მზე მკერდზე დაიბნია,
ვით შეჭფერის მამა-შვილს.
და... კითხულობ ბიბლიას,
ხელისგულზე გადაშლილს.

2001



* * *

აბო თბილელის ნიშთან,
მტკვრის დამსხვრეულ
სარკეში,
გაიელვებს კრწანისი,
გულზე ცეცხლის მომდები.
და... ერეკლეს ხმა ისმის –
იერემიას გოდებად.

1993



* * *

თეთრი ბუხრებით ყელადერებულნი,
ზაფხულის ელვით –
გასანასკვავები,
ფეხისწვერებზე კვლავ დგანან მეგრული
ოდები.
და მთელი ღამე ვარსკვლავები –
ცას და სინათლეს
აბოდებენ.

1965



სიყვარული ღმერთია

ვინაც შესძლო ტრფიალი,
მისი სული მარადის,
უკვდავებას შერთვია,
თვით უფალის ბრძანებით.
სიყვარული ღმერთია,
ანუ არის სამება.

1978



* * *

უცხო,
უცხოდ მოსილი,
გელენდება გორგონა,*
უფლის შიშით ატანილს.
ზღვიდან –
გესლი მოგორავს
მტრის და ლევიათანის.

1971

* გორგონა (ბერძნ.) – ქალი ურჩხული, რომლის თავი, ვინც მას შეხედავდა, ქვად აქცევდა.



* * *

სადღაც,

ცხრა მთის და ცხრა ზღვის
გადაღმა,

თეთრი ტკაცუნი ისმის აფრების;
ჭანგით კაწრავენ ცას არწივები.

და შენს ქართულ ფრთებს, –
მაღლა საფრენად,
არ ყოფნით ქვეყნის თვალსაწიერი.

1998



* * *

თეთრი კავკასიონი,
ნავი არის ნოესი
და რაღა ქნას მგოსანმა,
თუ ნიადაგ მოესმის –
ხმა შიშის და...
ოსანა.

1989



სამყარო მაინც ბრუნავს და ბრუნავს

აუწევია მაღლა საყელო,
ავსა და ავსულს,
უწმინდურს,
უნასს.

და ანთხევს შხამ-გესლს,
ვით უსახელო.
სამყარო მაინც ბრუნავს და
ბრუნავს.

და ცას მშობლიურს ღამაზ
სახეზე,
მთვარე ატყვია, როგორც ნახმლევი.

1963



* * *

მთები ზეცისკენ ჩუმად იღტვიან,
სიმაღლითა და შიშით
მოცულები
და სპეტაკ თოვლით წირვას ასრულებენ;
მთვარე ტაძარია,
სადაც ღოცულობენ:
ცად ამაღლებული –
მოკვდავთა სულები.

1978



პირიქეთა საქართველოში

არვინ იცის ცისქვეშეთში
ბედი,
ვის და რას არგუნებს,
ტყვია, ვის, სად გააციებს.
დავიწყების ბალახი
ჭამთ:
სავირებს და სარაგურებს,
ხაზარებს და აკაცირებს.

1974



* * *

გადაიწვიმა,

ახლა დარია,

სულ სხვა სიმაღლე

და სინათლეა.

ღრუბლებს ჭადარა გარევიათ,

ცა – საყდარია,

მთვარე მნათეა,

ვარსკვლავები – მრევლია.

1965



* * *

ერთხელ არა,
ათასჯერ,
ბედკრულ ქართველის მიწაზე
მძვინვარე და საზარი, –
ცეცხლი რომ გააჩაღოს:
არ ჩანს ტომი ხაზარის,
არც პაჭანიკ – ყივჩაღის.



ჩემი დიდი წინაპარი

საქართველოს ცა და მიწა,
მომხდურთათვის იყო ხარო*,
ჩემი დიდი წინაპარი –
უკვდავების სვამდა წყაროს,
ღმერთთან იყო წილნაყარი.

1987

* ხარო – ორმო.



* * *

უნდა ეშინოდეთ რისხვის,
ბედისწერას ატანილებს.
ლოცვად აღის ცაში ნისლი.
ადამის ძეს სატანისგან,
მხოლოდ უფლის მადლი
იხსნის.

1976



თიზანი

ცისკრისას რომ ნათელს რეკავს,
უფლის ხელით,
მზის ზარია,
მოკვდავთ გული რომ გაგვიტბოს,
მისი ღწვა და მიზანია.
მთელი დღე რომ დაგვეფარვატებს –
ის სინათლის –
თიზანია.¹

1969

¹ თიზანი – მსოფლიოში ყველაზე დიდი პეპელა, რომლის გაშლილი ფრთები 30 სანტიმეტრია.



* * *

ზღვა ღელვის ეტლს დააქროლებს,
ცაში მოვარის
არ ჩანს ხიდი.
ბელზებელო და ავსულო,
შენი გზა,
რა ახლო მიდის,
ჩემი შორს და უსასრულოდ.

2003



* * *

ცამ გაგილო ბოლომდე,
სიხარულის კარიბჭე
და ბედს რაღას ემდური?!
შენში ჩუმად ბობოქრობს,
რაღაც,
ტრანცენდენტური.

1974



* * *

თუმცა ტყუპნი არიან,
მაგრამ იცის მოკვდავმა:
რომ სიკვდილი უნდოა,
მიტომ ტოვებს კარს ღიად
და გზას მისდევს ბუნდოვანს.

1999



უფლის ოქროს სასახლე

მსხდარნი მთვარის გუბეში
ყაყანებენ სინათლეს
ვარსკვლავების გორდები*.
სადღაც მთვარე მზის შიშით,
ელვასავით ცახცახებს.
შენი ფიქრი გარს უვლის
და წამით არ შორდება
უფლის ოქროს სასახლეს.

1969

* გორდი (მეგრ.) – ბაყაყი



ზოგჯერ სიცოცხლე ზღაპარს მიაბავს

იდუმალების გზებით მოსული,

კაცის ცხოვრება

არის წყვილიადი.

სიზმარ-ცხადშია იგი ნაჯერი.

და ზოგჯერ ყოფნა

ზღაპარს მიაგავს,

რომელიც თითქოს გჯერა,

არ გჯერა.

1992



იმბროსზე და ლემნოსზე

...ელენურმა ტომებმა აიძულეს ისინი
(პელაზგები*) აერილიყვნენ ატიკიდან და
ეგეოსის ზღვის კუნძულებიდან.“

დეიოქე.

თესალიის ველებზე,

იმბროსზე და ლემნოსზე –

ცვივა ცრემლად ზეფირი...

და არვინ ჩანს მშველელი –

არც კორინთო – ეგვირეს.

1978

* პელაზგები – კოლხური (ძირძველი ქართველი ტომი)



* * *

პონტოს სანაპიროზე
გესმის ხმები თუბალთა –
შორი და
წარმართული:
– აგამაღლებს უფალთნ
მზე,
და ფრთები ქართული.

1983



სოფელსა და ზესთასოფელს

ერთად იყვნენ,
ერთად ვლიან,
სიდუხჭირე და სიამე,
ერთია და ვერ გაყოფენ:
სულსა და ხორცს,
დღეს და ღამეს,
სოფელსა და ზესთასოფელს.

1998



ეზოტერიკული

მეთერთმეტე ცის დარბაზში,
არც თენდება,

არც ღამდება.

სადღაც ვარსკვლავების იქით,

მოვერცხლილი ჩანს რიკული.

და უფრო შორს იღანდება

რადაც,

ეზოტერიკული.*

1963

* ეზოტერიკული (ბერძ.) შინაგანი დაფარული საიდუმლო.



არბოლიღს და არკადიას

„არკადია იწოდებოდა პელაზგიად.“

ნიკოლოზ მესხეთე

ათასწლეულების მერეც,

ცას და მიწას

რომ რეცხავენ,

მათი ცრემლის ნაკადია.

და სტოვებენ პელაზგები –

არგოლიღს და

არკადიას.

1965



* * *

„ცა გიხმობთ...“

დანტე

მზეს და სითბოს არიგებ –
გულთ ნამაისართ.
გწყალობს არსთა გამრიგე,
ვით მფარველი ყარიბის,
და დადიხარ მიწაზე,
მაგრამ თვალთა ისარი,
მაინც ცისკენ გაგირბის...

1999



* * *

როდესაც მზე ჩავიდა,
მოვარემ სივრცეს გახედა
ისე, როგორც ჰერცოგმა.
შენ კი გიხმობს ცის ტოტი.
ხილვა,
უხილავის და
შეუცნობის შეცნობა.

2006



დიდი დღესასწაული

ნათელ ათასწლეულებს –
ქარიშხლებად ჩაუვლის:
არიმანის,
კაენის,
ბოროტების და შურის –
დიდი დღესასწაული.

1993



* * *

ზიხარ სპეტაკ პეგასზე
და სიცოცხლის სიმღერას,
მღერი, ვით ავთანდილი.
მაგრამ იცი, რომ მოგდევს,
გზა...
და შიში ნადირის.

2007



სმა წუხილად ცაში ადის

ქვეყნად აღარავინ იცის,
ჩემი გულის სვაშიადი
და მე ისე ვბერდები.

სმა წუხილად –
ცაში ადის,
ჩემი ღოცვა-ვედრების.

2004



სამცხე-საათაბაგო

ცეცხლითა და მახვილით,
გაქრა წელი ათასი.
ველარ ირხენ იარას,
ლამის შურმა დადაგოს,
მარტო ქართლი კი არა,
სამცხე-საათაბაგო.

1974



„კოლხური მსაღმუნეო“

ტომი – IV

ვით დავით მეფსაღმუნეს –

გღეგდა შური და

მტრობა,

სუსტთა, არა, ძლიერთა.

დღეს,

შიში – დიდ პოეტად,

უცებ განსულიერდა.

2008



* * *

ცამდე ასვეტილ კლდეებს შუა,
ჰყვავიან ზამთრის ბაღები,
გაშლილა ზღვა, ვით ტაშირი.
და გულისცემა ტალღების
ისმის ქარიშხლის
ტაშივით.

1993



* * *

რაც დრო გადის,
 მით უფრო,
არყოფნისკენ იურვი..
 და დღითი-დღე იზრდება,
 მიწიერი კი არა,
სხვა, რაღაც კოსმიური,
 შიში კატაკლიზმების.

1990



LA MADELEINE¹

გადავიწყების მტვერ-ნისლი
დაედო ხეთს და ბაბილონს...
ვითა სიზმარი გამქრალა
ათასწლეული რამდენი,
კულტურა მაინც ყვავილობს –
მაიასა² და მადლენისა³

1968

¹ ლა მადლენი – გამოქვაბული საფრანგეთში.

² მაიას ტომი – ძვ.წ. აღ. XXX

³ მადლენის – არქეოლოგიური კულტურა პალეოლითის ბოლნისში.



* * *

სხვაა იგი ნათელი,
ზესკენლს რომ ესურება.
და ბნელს ზურგზე
იკიდებს.
ლოცვის საფეხურებით –
მიუყვები ცის კიბეს.

1991



კოლხი კორიბანტები

ათასწლეულებს მღვრიე ტალღებად,
სადღაც წარსულში

მიაგორებენ:

აქ – ფაზისი და იქ კი – ნილოსი.

ცაში ვარსკვლავთა კოცონს

ანთებენ,

ოდესღაც პონტოს სანაპიროზე –

მცხოვრები კოლხი – კორიბანტები.*

1979

* კორიბანტები – დედალვთაება რეა-კიბელეს, ან ნანას ქურუმ-ღვთაებები.



ნისლის ფთილა

(ესპანეთში)

რომ მიიწევს ჩუმად ცისკენ –
 მოფარფატე ნისლის ფთილა –
 ლოცვა არის მადიარის.
მზის ამოსვლა ყოველ დღით,
ზენაარის მადლი არი.

1997



* * *

საიდანღაც სიშორის,
ისევ გიხმობს
სხვა ზარი, –
რადღაც ამბიციური.
რადგან შენ ხარ ნაზავი –
მიწისა და ციურის.

1977



მართას ვეღრება

თავთუხიანი მიგელის ყანა,
დრო აღარ იცდის
და სწრაფად გარბის.
ფარისეველნი „ჯვარს გაცმევენ“
ქანაანს,
დაი, გთხოვს, მართა:
ნუ წახვალ, რაბი!

1967



* * *

თვალს მოავლებს მიწას ელვა,
არვინ იცის,
რა მოხდება.

(სადღაც, ვიღაც სცემს დაუდაფებს).
ციდან სხივი გადმოხდება
და ბნელ ნათელს
გარდმოგვაფენს.



* * *

ზღვა ზვირთა მუშტებს
მთას უღერებდა,
ცას ეღებოდა ფერი იოდის.
სანამ ვარსკვლავებს
ცის მინდორზე ღამე დაყრიდა.
ვიღაც ცოდვილის ხმა მკრთალ სხივად
გამოდიოდა,
მიტოვებული მთვარის საყდრიდან.

1971



* * *

ღრუბლის წვერმოშეებული

ცა,

არავის იკარებს.

და მიწა კი ელვის ჯვარს,

შიშით მოცულ სახეზე,

სახავს, როგორც ვიკარი.*

1986

* ვიკარი (ლათ.) - ეპისკოპოსის ან მიტროპოლიტის თანამემწე.



* * *

ვერ გასცურავ უამთა დელვას,
ვერც ორგით,
ვერც მხარულთ.
ცას უცნობის ფარავს რიდე.
მზეც ცოდვილებს თვალს
არიდებს,
ეს ქვეყანა ბნელითაა დაფარული.

1976



* * *

ისტორია ინახავს,
დრო და ჟამის ქოქოლას,
თავზე სულ რომ აყრიდეს:
იუდა ისკარიოტელს,
მოძმის ვერცხლად გამყიდელს.

1991



* * *

მწუხრის ბილიკით
და მწუხარე ზარების რეკვით,
მოვარე ჩაივლის, ვითარცა მნათე.
და იღუმალი ხმა მოისმის,
სხვა ხმათა ბაძვით.
ცის საშანდლეში ღამე ანთებს
მირიად სანთელს
და სიხარულის ტოტებს შლის
ნაძვი.

1971



* * *

მებრძვის დემონი,
ეშმა,
ურჩხული,
რომ დამიბრუნონ უკულმა კვერი.
და მწვაედეს ცეცხლი და
აგონია.

მაინც, ვით სვიმონ ღვთისმეტყველი
ჩუმად ვჩურჩულებ:

„...გმადლობთ,

უფალო! –

რომ მომმადლე სიკეთე ბევრი,
რის მოლოდინიც მე არ მქონია.“

1979

* * *

როგორც წმინდა გიორგი,
თეთრი მერნით აღსავლით,
რომ რბის,
აღბათ ცოტნეა.

მას სული გრძნობს...

და იცი:

„სული ყოველის მცოდნეა.“*

1965

* პლატონი – „მენონი“, (გვ.135)



* * *

მოკვდავთ ლოცვა-ვედრება,
როგორც მდინარეები,
ცის მღელვარ ზღვას
ერთვიან.

ცხადიცა და სიზმარიც
ბოლოს მაინც ერთია.

1988



რეკავს ოქროს ზარი

ცის უმაღლეს ტაძართან –
რეკავს ოქროს
მზის ზარი,
ნათელი რომ მოგვეფინოს.
ცხოვრება კი ყოფილა,
თურმე სიზმრის
სიზმარი.

1999



* * *

ლექსში ვეფხვის ნახტომი?!

წმინდათწმინდა შენს

სისხლში

აღბათ მხეცის ერია.

მაინც შენში ტყუერთან,

შედარებით ათასჯერ,

მეტი –

ზეციერია.

1988



სამეგრელოს მემკვსე ღალაშქვრა

ცაში აღის გლოვის ხმა,
მიედივარ მხარ-ნაქცევი.
დაშრა ცრემლის მდინარე,
დაემსგავსა რუს ღამის –
და ჩემს სამეგრელოს ვგოდებ:
დამწვარს და
დაქცეულს,
როგორც იერემია მაშინ,
იერუსალიმს.

1993



უცხო მოყვასი

ტანწერწება წვიმის წვეთებს,
სახე მზისფრად აფაკლული,
ცისარტყელა ჩუმად მოყვა.
ახლა, უცხო შარავანდით
მოსილს,
ველი ციდან მოყვასს.

1962



რ ა ბ ი

შენი სპეციაკი სისხლის წვეთები
ცად იბრწყინებენ მარად
მთიებად.
ცრემლებით სავსე შენ ხარ ამფორა
და რწმენის სანთლად
რ ა ბ ი *, ინთები!
თუმც, ჯერ იუდას გელის ამბორი,
შარა-გზები და
ლაბირინთები.

1973

* რაბი (ებრ.) – მოძღვარი.



* * *

(ვარიანტი)

კვლავ გაშინებს მიწის სისქე.

და აქ,

დაუტყვარი,

„სათნოების ეტლით“ ცისკენ

მიიწევი ისე, როგორც

იოანე მტბევარი.

1994



ისევ ხორბის სსსაფლაო

„ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამივია.“

ჟამთა გრივალმა ტოტი სიცოცხლის,
ეს მერამდენედ –
აქ დაარხია...
და როგორ მსურდა შუახორგის
სასაფლაოსთან –
სად წინაპართა ძეგლები მარხია
(და არა სხვათა,
უცხო საგების*.)
ქართულ ცასავით მუდამ კარდია,
ერთი პატარა ტაძრის აგება.

1993

* საგები – ყირგიზთა უძველესი ტომი.

* * *

მითებსა და ლეგენდებს
მისდევს ქორონიკონი.
არც ქრისტე ჩანს,
არც მართა.
თვით ღმერთი ვერ იპოვნის
აქ,
ამჟვეწად სამართაღს.

2005



ც ა ქ ა რ თ უ ლ ი

მაღალი და ნათელია –
 ც ა ქ ა რ თ უ ლ ი,
 ვით აკაკის შუბლი
და ჩვენ, ქვეყნად არყოფნისგან
უნდა გვიხსნას
 მადლმა უფლის.

1968



* * *

ცას ელვით შეკერილი –
პირი გარღვევია.
მთებს ძვლებად მოუჩანს
ტინები.

მდინარეები –
მიწის ძარღვებია,
სადაც სიცოცხლე მიედინება.

2003



შენც მიჰყვები ცისკენ კიბუს

წუთისოფლის ველ-მინდვრები,
ორღესული
ცელით თიბე,
და ვით შენი, ღვთისმოსავი წინაპარი,
შენც მიჰყვები ცისკენ კიბეს,
რადგან ჩემო!
უფალთან ხარ წილნაყარი.

1990



* * *

„წყალივით იდინოს სამართალმა...“
ამოს წინასწარმეტყველი (ამოსი, 5,24)

წვედიადიდან ნათელი,
როცა ოდნავ ინათებს,
ცისკრისას,
მზის ამოსვლის.
ნატრობს ასეთ სიმართლეს, –
სამართალი ამოსი.

1998



* * *

ვიღებ მითებს და ლეგენდებს,
ათასწლეულების სივრციდან
და ვბერტყავ.

ვით გობელენებს
ანდა მტვერწაყრილ ფართალს.
და ვით ბერი ზოსიმე

ვჭკვრებ: ახალ ნინოს
და დედოფალ ჰელენეს,
ვითარც მარიამს და

მართას.

1989



რულოფ შტაინერი

„...ადამიანებმა სულიერ სამყაროსთან
კავშირი, დაახლოებით, ოთხიათასი
წლის წინ დაკარგეს...“

შტაინერი.

ბიბლიიდან მოსული,

სხვა უნით,

სხვა იერით

ის ერთია...

სხვა ყველა თითქოს მისი

„მტერია“.

და რულოფ შტაინერი,

იგაუგებში დაექებს:

მიძინებულ ლაზარეს...

„ვარდის და ჯვრის მისტერიას.“



* * *

სიცოცხლე,
და ან სიკვდილი,
აქ,
ერთი რჩება ორიდან.
ვისმენ ვარსკვლავთა გალობას.
მელიმილება –
შორიდან,
წარმაველის წარუვალობა.

2007



მზის და ოქროს საწმისის

ადარ უჩანს სიცოცხლეს
სასრული და საწყისი..
აბა, ყოფნა რა არის?!
მზის და ოქროს საწმისის
და გარეშე გრაადის.

1971



ტაბიძის და ბრანელის

წარსულიდან მოსული
მტკვარი,
როგორც მეტეხთან,
დრო-ჟამი სვლას ანელებს:
როცა ჩანგის ხმა ესმის –
ტაბიძის და
გრანელის.

1986



ბიხმობს ხმა კოსმიური

ანგელოზის ფრთიანი
სული ცისკენ იურვის
(აღბათ ესეც სენია).
გიხმობს ხმა კოსმიური,
რომლის მსგავსი არავის,
არასოდეს სმენია.

2007



გესმის შორი ძახილი

ღღე და ღამის მიღმიდან
გესმის შორი ძახილი,
რომელიც არს ერთად კრებს,
აღთა-ბაღთას წვეულებს.
შენ კი ზიხარ ღრუბლებში...
თითზე –
ოქროს ძაფივით,
იხვევ ათასწლეულებს.

1976



* * *

ადარ უჩანს სიცოცხლეს
სასრული და
საწყისი...
აბა, ყოფნა რა არის?!
მზის და ოქროს საწმისის
და გარეშე გრავალის.

1971



მკვდართა ქალაქი

ლოდზე თავს იწონებს წარწერა:

„აქ განისვენებს მალაქია.“

უამთა ოკეანეში

ნარწევი –

სასაფლაო –

მკვდართა ქალაქია.

1967



* * *

მოვიდნენ და მთიებმა,
წვიმით მოყაყანე ცა,
უეცრად დაამუნჯეს.
სურს რომ გამოაჩინოს
ღამემ,
თავის საუნჯე.

1973



* * *

ამაქვეყნად მოსვლის დღიდან,
იღვრებიან ბრძენნი ოფლად,
მაგრამ მაინც,
ვით ტყუპისცალს
ველარ ყოფენ:
ყოფნასა და აქ არყოფნას,
სოფელსა და ზესთასოფელს.

1993



ჩვენი ბულები

ყელმოდერილი,

გაზაფხულის თეთრი ბილიკით –
მოდის აპრილი ქვის

გამხეთქავი

და სიმწვანეს და სითბოს გაყვირის...

იქ –

სიყმაწვილის წერილებში

ისევ ფეთქავენ,

ჩვენი გულები ისარგაყრილი.

1959



გზა უჩინარი

დასერილია დედამიწა გზებით
ურიცხვით,
ზოგი ფერია ცისკრის მდინარის
და ზოგი კი მწუხრის ნახშირის.
მაგრამ სულ სხვაა
გზა უჩინარი,
დიდებასთან რომ გვაკავშირებს.

2002



* * *

ვით ცეცხლწაკიდებულ სანთლებს,
მრევლს თვალები
უჩანთ სველი.
და ნურავინ გაიოცებს,
რომ ღვთისმოსავსა და
მლოცველს,
უფლის საბრძანისი ელის.

1978



* * *

მკმუნვარე მთვარე,
ვით სპასალარი,
საღღაც მთიების მიდის
ამალით,
თითქოს ბრძოლის ველს იყოს
წვეული.
ცაზე გადიფრენს ეღვა ფრთამალი,
ღამე,
ღღე არის თვალახვეული.

1968



* * *

რომ გღევს თოვლის სისპეტაკე,
მით არ იხდი თეთრ
სამოსელს,
ცისკენ ელვის ბილიკს მისდევ...
– რჯულად რჯული მოგცა მოსემ
და რწმენა კი თვითონ
ქრისტემ.

1972




* * *

არ ჩანს ხიდი მირაბოს!
ჩვენსკენ მოერეება
ფიფქთა პეპლებს
მისტრალი.*
და ცის მზერაც ცივია,
როგორც ნამინისტრალის.

1969

* მისტრალი (ფრანგ.) ჩრდილოეთის ცივი და მშრალი ქარი სამხრეთ საქართველოში.



* * *

ბიბლიური კოლხეთი –
ჩანს ვარსკვლავთა
ფრესკებით.
აგერ ბარათაშვილის ხიდი,
როგორც მირაბოს.
და აქედან იწყება „ხერელი“
ზესკნელ-ქვესკნელის,
ქებნად „ოქროს საწმისის“
კოლხურ „შავი გვირაბით“.

1983



თეთრი ვარდი

დიდისნის წინათ მიწამიერილებს,
სიკვდილია,
ჩვენს ძელებსაც რომ აალებს,
მის გარეშე,
სამყარო წყვდიაღია.
თეთრი ვარდი –
თასი არის გრძალის,
საიდანაც სურნელებად
ლოცვები ცად აღიან.

1997



* * *

აქ,

ფაზისთან შობილა,

აკვანიც აქ რწეულა...

მაგრამ ავმა სულეებმა,

სიცოცხლე შეაზარეს.

და მას შემდეგ მტვრად იქცა

ხუთიათასწლეული,

რაც სძინავს საქართველოს, –

უფრო სწორად –

ლაზარეს.

1996



* * *

არწივივით

„ქართულ ფრთებით“

ცისკენ ფრენას არ ანელგბ
და უკეთეს მერმისს ელი.

არცა გალა,

არც გრანელი,

შენ ხარ ვაჟა ეგრისელი.

2001



კოლხეთის მისტერია

ოთხი ათასწლეულის
მერე,
კვლავ მისტერიან –
სხვა მოთქმით და სხვა ზარით:
პონტოს სანაპიროზე
მიძინებულ ღაზარეს,
„კოლხეთის მისტერიას“.

1964



* * *

საწუთროში მოვლენილ –
მარიამ მაგდალინელის
იცი ღვთის ასულობა.

შენც,

კვერცხში ჭვრეტ სამყაროს
სასრულს...
უსასრულობას.

1974



სულის ხსოვნა

ახსოვს ქვეყნად ყოველი
მთვარეს,
ცის კაბადონზე,
წამოწოლილს ინახად,
(ზოგჯერ რომ ჰგავს გონიოს.)
კოლხეთს –
კოსმოგონიურს,
სულის ხსოვნა ინახავს.



ხილვა: საული

დამასკოს ძველ გზაზე მავალს,
ბრმა-ურწმუნოს
ვხედავ საულს,
მერე პავლედ გარდასახულს:
მაცხოვარზე გულით მლოცველს,
უფლის მონას
და მის მსახურს.

1980



სიყვარულის ბორბალი

შემოხედვა ამურის,
ზოგს სიცოცხლეს
ბედნიერს,
და ზოგს სიკვდილს არგუნებს.
სიყვარულის –
ბორბალი
მზეს და მოვარეს აბრუნებს.

1981



იერიქონის ესმით საყვირი

ნუთუ არ არის ეს გასაკვირი?!

რომ ორზე მეტი

ათასწლეულის

მერე,

აქ მოსულ ბრბოსა და ბეგებს,

იერიქონის ესმით საყვირი:

„ჯვარს აცვით ეგე!“

1977



მე სახლს ვაბეზ სალ კლდეზე

იეოს სავსე სინათლით,
 წვეთიც აღარ აკლდეს მზეს,
 არის ამის ნიშანი.
მე სახლს ვაბეზ სალ კლდეზე
 და არა ძირს ქვიშაზე.

1986



✽

ხილვა: სვიმონ კვირინელი

შუბთა ტყეა აღმართული,
დგას ყაყანი რომაელთა,
მაგრამ მხნეს და
გასაკვირველს,
მაცხოვართან ვხედავ სვიმონს –
ჯვარის მტვირთველ –
დიდ კვირინელს.

1987



სღვედათ მზერა ამურის

უყვარდათ და სიყვარულს
თესავდნენ და
იმკიდნენ.

სდეკდათ მზერა ამურის.
გაჰყოლიათ სიკვდილმდე
ტრფობა –
მარადუამული.

2005



პავლე და იოანე მოციქულები

ლოცულობდნენ დღე და ღამე,
აღაველენდნენ ღოცვას უღეევს...
სიყვარული უჩნდათ ღმერთად:
პავლესა და იოანეს,
ღვთის,
მზით მოსავ მოციქულებს.

1976



* * *

უნდა სდიო ცრუ საწუთროს,
ეშმა,
სულით მონათ უვლის
და ჩხრიალი ისმის ვერცხლის.
შენ წყლითა ხარ მონათლული,
მე კი ცეცხლით.

1980



სიმაღლე და სიწმინდე

კი, ურწმუნო თომები,
უფლის მოსახილველად
ხელს ამაოდ იწვდიდნენ.
მაგრამ შენთვის ახლოა,
შენი სამოსახლოა,
სიმაღლე და
სიწმინდე.

2008



გაზაფხულის კარავი

დახუნძლული მთიებით –
სიცოცხლის ხე –
შრიაღებს,
ბნელით დაუფარავი.
სისპეტაკით იმოსვის
გაზაფხულის კარავი.

1971



* * *

გიზგიზებს ცეცხლი მარადიული
და ბნელში დამდგარ
ტაძრების გუმბათებს –
გზას ცისკენ სანთლების
ცრემლები უნათებთ.

1962



„სადა არს, აბელ, ძმაი შენი...“

ძეო ადამის,

შენი მოსვლა აღარ მჯეროდა,

რადგან სამოთხე,

ვერ დაიმშვენე.

ცრემლგარეული ხმა მომესმის

„მაყელის ჩეროდან:“

„სადა არს,

აბელ,

ძმაი შენი!“

1961



* * *

რაც დრო გადის,
როგორც საბას,
სისპეტაკე გათოვს მეტი.
ვით „თავადი“, ისევ დახვალ
დაბა-დაბად.
და თან გახლავს მოწაფენი
ათორმეტი.

1968



* * *

ჩამოაჭენებს ცისკარს არაგვი,
იღვიძებს მცხეთა და
ნარეკვავი
და იკეტება ღამის კარები.
ზედაზნის მთები –
მზეს და ოქროს ზარებს
რეკავენ –
ბეშქენ და ბექა ოპიზარების.

1972



ხილვა: სოლომონ და ელისე

უდაბნოში ეგვიპტის,
ადრე ჩასულს ელის მზეს,
ეფფრატის პირს დამჯდარი,
ორი დიდი ბრძენკაცი –
სოლომონ და
ელისე.

1964



ოტარიდი

იდვრება სხივი ნათლისმფენელი,
მაგრამ ფარული.
სადღაც გიზგიზებს მზე –
სიხარულის.
მაგრამ უხილავ გზის დასასრულთან –
თვალეებს მარიდებს
მე ოტარიდი.

2003



* * *

ცა აიმღვრა და მის სულში –
სატანამ კვლავ დაიფანა
და მაისის კვირა დღეს,
მზემაც ხელი დაიბანა,
მწყრალად,
როგორც პილატემ.

1978



* * *

სიხარულის მაღალ ხატს –
ხელი ფროთხილად
შეახე,
მერე დევი და ეშმა
შებორკე და შეფსკეენი,
ჯიქურ ერთად შეაღე
კარი ზესკნელ –
ქვესკნელის.

2007



ლაშარობა – 77

ვით მწყემსმთავარს,
მოსვლიდან,
ცხვართა ფარა გებარა!
საიდანღაც ხმა ისმის –
ლაშარის ყრმის – გაბურის:
– გზა ხარ გაუგებარი –
უგზო და
უდაბური.

1972



* * *

გავიდა ორი ათასწლეული,
ადამის მოდგმას –
ხმა რომ ესმის ცივი
და მკაცრი:
– წყალი კი არა, მას ძმარი ასვით
და ჯვარზე აცვით!!!

1962



* * *

ცაში იფრენ გავაზად,
ღმერთი არ გაგიწყრება,
რადგან მზე გყავს
თავმდებად.

სადაც გალა თავდება,
შენ იქიდან იწყები.

2006



* * *

ზეცისკენ მიიღტვი,
სიტყვის მათა ალალით,*
და უფალი იწამე!
შენ ხარ მასზე მაღალი,
ვითარცა ცა –
მიწაზე.

2001

* ალალი – ქარავანი



* * *

მაშრიყიდან –
მაღრიბით
შენი ღღესასწაული, –
გაბზარულ გულს ამრთელებს.
მზერას აღარ მაშორებს
ციდან თვალი –
ნათელი.

1972



უდაბნო უდაბნოთა

წამიც და...

უცეცხლოდ,

უკვამლოდ,

ვით ელვა, სამყაროს კრუნტელად

რომ დაუვლი!

ეს შენ ხარ უფალო!

უდაბნო უდაბნოთა,

სასწაულთა სასწაული.

1999



* * *

სიხარულის ედემში –
საიდუმლო ბილიკით,
რწმენამ რომ განანავა,
მიტომ გაწვდის ცხოვრების
ხე –
ზეციურ მანანას.

1966



* * *

მოვა და...

ის უხილავი,
ლოდზე წარწერებს გადაშლის
და მერე ღვთის ნაყოფს
უმწიფარს, უმწიფებს,
და მერე უძირო კალთაში
ჩაუყრის,
არყოფნასა და
ლუციფერს.*

2005

* ლუციფერი (ლათ.) ბოროტების ღვთაება.



* * *

ვარსკვლავებისგან ცა დაწრეტილა
და სისხლიანი არ უჩანს უბე.
ირგვლივ ყოველი ქცეულა ნაცრად.
და მოვარე მიჰყავთ დასავლით
ღრუბლებს,
გამთენიისას ჯვარზე რომ აცვან.

1963



მზე და ზარი

რადგან მოხველ!

თვით სიკვდილსაც

აგდებ არად!

რადგან იცი: აწ და მარად,

დაგიფარავს მზე და

ფარი.

1962



* * *

ზღვის ღმერთს სანთლებს უნთებდნენ
კოლხებიც და
ბერძნებიც,
ჩამავალ მზის ფერებად.
და შენც დიდხანს ეძებდი
სულს და
სულიერებას.

1967



ფშავ-ხევსურეთში

აჰა,

მთები მაღალი,

ნაარწივ-ნაორბალი,

ცას რომ აუდაბურებს.

მზეს და მთვარეს

აბრუნებს –

გაზაფხულის ბორბალი.

1967



მაღალი და ღიალი

წყდება ოხვრა,
გოდება
და ნათდება წყვილიაღი.
ჩუმად გიახლოვდება –
მაღალი და ღიალი –
ვარსკვლავი განთიადის.

1961



შურუფაქი, კოლხა, ური

მძვინვარ ათასწლეულებში –
ნაბრძოლებთ და
ნამძინარევთ,
ზღაპრულ ხმაზე საღამურის,
ელვიძება შუამდინარეთს –
ცამდე აწვილ დიდ ქალაქებს:
შურუფაქის,¹
კოლხას,²
ურის.³

1964

¹²³ კოლხეთის პრეისტორიული ქალაქები.



* * *

მზის გულისცემას –
სივრცეები ჩუმად უსმენდნენ...
კვდებოდა მთვარე,
იცვლებოდა პეტრე –
პავლეთი.
შემკრთალი ღამე, ვარსკვლავების
ოქროს ქუსლებზე
იდგა და ღამაზ დღის შესახვედრად
მიირწეოდა –
აღმოსავლეთით.

1972



ღალატის ყვავილი

ყვოდა კოლხეთი...

ღღე იღვა მზიანი,

და აღარ ბლაოდნენ ღამეებს

ვერძები.

ნათელი ეფინათ კოლხ-სპათა

პალატებს,

მაგრამ ხილვაზე ჭაბუკი ბერძენის,

წამსვე აღმოცენდა ყვავილი

ღალატის.

1963



* * *

ადამის ძის დიდი ვალი –
სულის ცამდე ატანაა,
და იქიდან მიწას
შერთვის.

სიძულვილი –
სატანაა,
სიყვარული არის ღმერთი.

1963



* * *

ცის წუხილი კრთება ელვად,
ვარსკვლავებით დაცხრილული,
საყდრის ახლოს,

მუხიანთან.

თეთრი ლანდი დგას ხილულის,
ისმის ხმები უხილავთა.

1976



* * *

ლაჟვარდებიდან მზირალი –
ირგელივ დიდი მთებია,
(მიწა ვინ თქვა უმთებო!)
ცას თაყვანს სცემ, ვით უფალს,
დღის და ღამის ფრთებიანს,
გიყვარს მიწა უფრთებო.

1961



* * *

ვარსკვლავები გზას უთმობენ,
ღამეს ისევ მოჰყავს დილა,
ბნელს შებმული –
მთვარის ეტლით.
მეცხადება იგი ხშირად:
ცეცხლითა და
ნათლის სვეტით.

1963



* * *

ელვის ოქრომკედით ნაქარგს –
ისევ იცვამ თეთრ სამოსელს,
წვერ-ულვაში –
გშვენის თეთრი.
ნისლში მიხვალ, როგორც მოსე,
ხილვად შენი
მამაღმერთის.

1998



* * *

მზემ ყივილზე ოქროს მამლის,
გამოაღო ზეცის კარი,
თქვა:

რამდენი მძინებია.

მთვარე – ვერცხლის ჩანგი არი,
ვარსკვლავები –
სიმეზია.

1963



* * *

ცხრა ზღვისა და ცხრა მთის იქით,
კოლა-კოლხთა იყო
ლხინი.

(ერთი არ დამიძინია).

წარსულიდან ხელს მიქნევდნენ:

შურუფაქი,¹

შარუქინი,²

ური,³

ნიპური,⁴ ნინია.⁵

1968

1,2,3,4,5 შუმერთა პრეისტორიული ქალაქები



* * *

როს გაწვევებენ ელვის აღვირს,
და ღრუბლები
სათარემოდ –
ცის მინდორზე აიშვებენ,
მაშინ ყინვა თოვლს დაუკრავს
თეთრი მთების კლავიშებზე.

1962



არიმანს და მეფისტოფელს

ღღე და ღამე, ვით მწვერები,

ცას და მიწას –

ყეფით ყოფენ,

უამი ყველას უცვლის ფერს:

არიმანს და

მეფისტოფელს,

ბელზებელს და ლუციფერს.

1971



რჯულაღლს, რჯული მოგცა მოსემ

რადგან მოხველ,

ტანზე იცვამ,

ჭეშმარიტების სამოსელს

და უფლის გზას ჩუმად მისდევ.

რჯულ ძაღლს,

რჯული მოგცა მოსემ,

და მადლი კი თვითონ ქრისტემ.

1978



სუმერ – სუბარ – სასპერი

ადარ დარჩა ცის კიდე
და აღარცა ზღვის ფსკერი,
ყველგან სიკვდილს იმკიდნენ...

მაინც იყვნენ პირველნი:

სუმერ¹ – სუბარ² –
სასპერი.³

1969

¹ პირველი ქართველი ტომები.



ორი მოციქული

ცოდვით სავსე ცისქვეშეთში
ღამის წყვილადს მიაპობს,
რწმენა ორი მოციქულის
და...

მზეს უნთებს ზენაარსი,
პავლესა და იაკობს.

1961



**ტიციანის - „მონანიე მარიაჲ
მაგდალინელი“-ს სურათიან**

სატანის ხელით ნაგები –
ირყევა ცოდვის კედლები,
ვით ქარში ტოტი იელის.
და ისმის ჩუმი ვედრება
მარიაჲ მაგდალინელის.

1974



* * *

შორეთს მიმავალ შენს გემს –
კოლხური და
რომაული
მითების ანბა შევენის
და თეთრი აფრა ღაზის.
დიდ ქართულ პოეზიას,
ქართულ მზესავით, შენი –
ოქროს ბეჭედი აზის.

2005



* * *

მამლის ყივილზე აღსავლით
თვალაცეცხლებულ
ვარსკვლავთა
წამს შეწყდა აყალ-
მაყალი.

და მოეფინა სამყაროს
უქრობი ცეცხლი
„მაყვალის“.

1969



იოანე პეტრიწი

მეტ სინათლეს გამოსცემს,

პატრუქი, რაც

მეტს იწვის.


შენ მზე მეტი გეზადა.

ხმა მოისმის პეტრიწის:

– ლოცვით ცისკენ მიიწევს

„კიბე სათნოებათა.“

1974



* * *

მზის და მთვარის შეხვედრა
ზეცის გამოქვაბულში
მიაგავს ავთანდილის
შეერას კვლავ ტარიელთან.
ჩვენ სულს ნათლით
შემოსილს,
სადღაც დასალიერთან
ელოდება ეოსი.**

2001

** ეოსი (ბერძ.) – განთიადის ღმერთქალი.



სარეცელზე პროგრუსტუს

ზოგ-ზოგები შორეულ
იდუმალ გზებს
დააწვენენ
და იმქვეყნად მოკურცხლეს.
შენ კი ლექსებს ვერ აწვენ,
სარეცელზე –
პროგრუსტეს.

1960



* * *

ცა,
ნაშეერს დედამიწის,
ცისარტყელის ხელებს გიწვდის,
ძლიერსა და შვიდ აღლიანს,
რადგანაც „შენს ფსალმუნებში“,
მირონი და
ღვთის მადლია.

2007



მზე, ფარი და მახვილი

ისე, ვითა დავითის,
ჩემს „კოლხურ ფსალმუნებში“
თვალებს ჩუმად ახელენ –
ელვის ქვაზე ნაღესი:

მზე,
ფარი და მახვილი
და მირონი თაღესის.

1990



* * *

ელვამ ცა გადაპარსა,
მთვარე მოხანს ფერდობად.
შენ თაყვანსცემ ანთებულ
ჩაუქრობელ ღამპარს
და
ყოვლადწმიდა დედოფალს.

1978



* * *

სიხარულის გზებით მავალს,
ღამე მაინც დაგეწია.
და იმაში ბრალი გიძევს,
რომ ერთხელაც
არ გეწვია,
იდუმალი გზებით სიძე.

1966



მეჩანგე და შაირმთხველი

სინათლის და მზის მარცვალი,
სიყვარულის ცაში თესე,
მოსავალს კი აწი ელი.
თუმცა ქართველს მუდამ ჰყავდა –
მგოსან – მუტრიბ
და მეღექსე,
მეჩანგე და შაირმთხველი.

1962



* * *

ვარსკვლავებით გაღვივებულ –
ჩემს ქართულ ცას
უმხურვალესს,
მზე კელაპტრად ხელთ რომ ეპყრა –
ჩემს დამწვარ გულს,
ცრემლში ნალესს,
ვითარც უფალს ვწირავ მსხვერპლად.

2004



ღამის ხე

მთვარის თეთრ ფიალაზე,
როს სამსალა ღამისხეს,
საიდანდაც მოისმა:
– ოქროს ნაყოფს მოისხამს
შენეული ღამის ხე.

1996



* * *

ქუხილსა და მეხთატეხას
თავს არასდროს არიდებდი
და შენც ისე,
როგორც იომ,
ფორებით და ქარიტებით, –
ჟამთა დენას უნდა სდიო.

1977



* * *

საწვალ დედამიწაზე –
 შურს და მტრობას თესავენ
 მეფეცა და ვეზირიც.
მიწას არა,
 მზესავით,
 შენ, ცასა ხარ შეზრდილი.

1981



* * *

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე“
გალაკტიონი.

ზეცის გახსნის მომლოდინეს,
ცრემლები კვლავ მდის
ფარული.
ეზივარ ტაძრად მე მესხივით.
აღარსად ჩანს სიხარული,
არ მიხილავს ჯერ
მე სხივი.

2008



რძე – XIX საუკუნე

მტკვრისპირ,

ქარვასლებიდან,

ბანოვანთა საცვლები,

ვნებას ადარ მაღავენ:

ქარში ხელებს უქნევენ –

ხარაზებს და მკალავენს

და ღრიანცელს დუქნების.

1968



* * *

ფიქრით მისდევ დინებას
ვეფრატის და
ტიგროსის
და ვჭვრეტ: მტერი შუმერთა,
ხალდისაკენ იურვის,
მოსრა აბორიგენტა,
ერთხმად რომ იქადაგეს!!!
სიფარიც¹ და ქიურიც²
დარჩათ სემიტ –
აქადებს.

1971

¹ სიფარი, ქიური – წარდუნამდელი, პროტოკოლხური (ქართველური) ქალაქები (ძვ. XXIV ს.)



* * *

ქაოსებიდან ამოსულები,
ასწლეულები რბიან ისე,
როგორც წამები.

არ ჩანს უფალი –

ჩენი მსაჯული.

უკვდავება კი ტანჯვაა და სულის
წამება,

ის პრომეთეა –

უღმერთობის კლდეს მიჯაჭვული.

2002



ინლოეთში

გარდასულ დღეთა უღმერთობა,

ბომბეის ქუჩებში

მზით იელვებს:

ნაფეხურები ჩანს ერესის.

და...

გულმჭეუნვარე ინდიელებს –

აცვიათ მწუხარება

უთეთრესი.

1983



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ.....5

*** (მარადისობის ოკეანეში).....25

*** (ასე ღიადი და საკვირველი).....26

*** (სიმყუდროვიდან ამოფრქვეულმა).....27

*** (ისე, ვითარცა უფლის წყალობა).....28

*** (ელვა...).....29

*** (მთა დედამიწას შიშით დაჰყურებს).....30

*** (მარადისობის სიმართლეში).....31

*** (ქრისტეს კი არა).....32

*** (გვიჯავრდება მოკვდავთ ენა).....33

*** (სიცოცხლე არა).....34

ჯრუჭის ოთხთავი.....35

*** (საიდანღაც მოგარდნილმა).....36

*** (ასე ეწადა ალბათ განგებას).....37

*** (ქარის ბილიკით მოსული დეღვა).....38

*** (რაც განგებით იხილე).....39

ხილვა: წარსული.....40

*** (ისმენ ციურ გალობას).....41

*** (ღამე უყრის დიღამდე).....42

ძველი სასაფლაო.....43

*** (შენში დარგულ ცხოვრების ხეს).....44

მზე, სიტყვა და მაღალი ცა.....45

სქილასა და ქარიბდას.....	46
*** (იჭვი ააგე ფიწალს).....	47
ჩანს კარიბჭე ქებრონის.....	48
ისევ ქართული ფრთები.....	49
ტუია სასაფლაოზე.....	50
ადამისძეო.....	51
მერჩულესა და მთაწმინდელთ.....	52
*** (ყოფნის ციხე-დარბაზი).....	53
*** (ვარსკვლავთ კიბეებს მიჰყვება).....	54
*** (ცის ტაძარში შავ ღრუბლებად).....	55
*** (დედამიწას რომ ასკდება).....	56
*** (წამს...).....	57
*** (ამქვეყნად ზოგ-ზოგებს).....	58
*** (მგ ზავრობა წარსულში).....	59
*** (მარადისობის ციდან მოსული).....	60
*** (მარადისად შენში არი).....	61
უზენაესს ზენათა.....	62
ნიცშე და ფსევდო ლონგინე.....	63
*** (ცვარი არა...).....	64
მეთერთმეტე ცა.....	65
მოსვლას აგვიანებს არდი.....	66
*** (შენი ყოფნის სასახლეს).....	67
*** (ისე, ვით კორინთელი).....	68
ამირან დარეჯანის-ძე.....	69

*** (დედა – მიწა მოხუცია).....	70
ღმერთკაც ნეტარ აგგუსტინეს.....	71
ქნარს უკრავდნენ.....	72
თავზე პოეზიის ცა მეხურა.....	73
*** (მეცხრე ციდან მოსული).....	74
ცა და ღმერთწართმეული.....	75
*** (მთვარე ისე, ვით ესავი).....	76
*** (გერ გასცურავ ჟამთა დედვას).....	77
*** (შენი გზები მთიებმა.....	78
ორი იუდა.....	79
*** (ვითარც მღვრიე არაგვი).....	80
სიცოცხლე – ლანდის ლანდია.....	81
ღვთის მადლი.....	82
იერემიას ისმის გოდება.....	83
ეფემერის და ეფუთის.....	84
ცხოვრება სიზმარეული.....	85
*** (შვიდთა ხელმწიფეთა სპანი).....	86
*** (მზის ნაშიერი).....	87
ხილვა: წმინდა გიორგი და ნინო.....	88
ხელთ გიჰყრია მთიები.....	89
მეფობს ციური აზრი.....	90
*** (შაგვებით მოსილი ღრუბლები).....	91
ეს ქვეყანა.....	92
*** (დიდხანს ვერ განინათლა).....	93

*** (ცისქვეშ ერთად ბუდობენ).....	94
*** (დასავლეთით).....	95
პოეზიის პიემები.....	96
*** (სიკვდილი ვერ გიშველის).....	97
ხილვა: სიონი მთა.....	98
PIETA.....	99
*** (სადაც ღრუბლების ჩანს კუნძულები)..	100
*** (ასე არის ყოველთვის...).....	101
*** (ლოდს ეფარება და გითვალთვალებს)..	102
*** (დღე და ღამე ღვიძლებია).....	103
*** (წარსულს ამოეფარნენ).....	104
*** (ჩემმა სიხარულის ცამ).....	105
*** (აბო თბილელის ნიშთან).....	106
*** (თეთრი ბუხრებით ყელადერებულნი) ...	107
სიყვარული ღმერთია.....	108
*** (უცხო...).....	109
*** (სადღაც).....	110
*** (თეთრი კავკასიონი).....	111
სამყარო მაინც ბრუნავს და ბრუნავს.....	112
*** (მთები ზეცისკენ ჩუმად ილტვიან).....	113
პირიქითა საქართველოში.....	114
*** (გადაიწვიმა).....	115
*** (ერთხელ არა...).....	116
ჩემი დიდი წინაპარი.....	117

*** (უნდა ეწინოდეთ რისხვის).....	118
თიზანი	119
*** (ზღვა ღელვის ეტლს დააქროლებს).....	120
*** (ცამ გაგიღო ბოლომდე...).....	121
*** (თუმც ტყუპნი არიან)	122
უფლის ოქროს სასახლე.....	123
ზოგჯერ სიცოცხლე ზღაპარს მიაგავს	124
იმბროსზე და ღემნოსზე	125
*** (პონტოს სანაპიროზე).....	126
სოფელსა და ზესთასოფელს	127
ეზოტერიკული	128
არგოლიდს და არკადიას	129
მზეს და სითბოს არიგებ.....	130
*** (როდესაც მზე ჩავიდა).....	131
დიდი დღესასწაული.....	132
*** (ზიხარ სპეტაკ პეგასზე).....	133
ხმა წუხილად ცაში აღის	134
სამცხე-საათაბაგო	135
„კოლხური ფსალმუნები“	136
*** (ცამდე ასვეტილ კლდეებს შუა).....	137
*** (რაც დრო გადის).....	138
La Madeleine.....	139
*** (სხვაა იგი ნათელი).....	140
კოლხი კორიბანტები.....	141

ნისლის ფთილა.....	142
*** (საიდანღაც სიმორის).....	143
მართას ვედრება	144
*** (თვალს მოაველებს მიწას ეღვა).....	145
*** (ზღვა ზვირთთა მუშტებს).....	146
*** (დრუბლის წვერმოშეგებული).....	147
*** (ვერ გასცურავ ჟამთა ღელვას).....	148
*** (ისტორია ინახავს).....	149
*** (მწუხრის ბილიკით).....	150
*** (მებრძვის დემონი).....	151
*** (როგორც წმინდა გიორგი).....	152
*** (მოკვდავთ ღოცვა-ვედრებით).....	153
რეკავს ოქროს ზარი	154
*** (ღექსში ვეფხვის ნახტომი).....	155
სამეგრელოს მეექვსე დაღაშქერა	156
უცხო მოყვასი.....	157
რაბი.....	158
*** (ეგლავ გაშინებს მიწის სისქე).....	159
ისევ ხორგის სასაფლაო.....	160
მითებსა და ღეგენდებს.....	161
ცა ქართული.....	162
*** (ცას ეღვით გაკერილი პირი გარღვევია).....	163
შენც მიჰყვები ცისკენ კიბეს.....	164

*** (წყვდიადიდან ნათელი).....	165
*** (ვიღებ მითებს და ლეგენდებს).....	166
რუდოლფ შტაინერი.....	167
*** (სიცოცხლე).....	168
მზის და ოქროს საწმისის.....	169
ტაბიძის და გრანელის.....	170
გეიმობს ხმა კოსმიური.....	171
გესმის შორი ძახილი.....	172
*** (აღარ უჩანს სიცოცხლეს).....	173
მკვდართა ქალაქი.....	174
*** (მოვიდნენ და მთიებმა).....	175
*** (ამქვეყნად მოსვლის დღიდან).....	176
ჩვენი გულები.....	177
*** (ვითარც ადრე).....	178
გზა უჩინარი.....	179
*** (ვით ცეცხლწაკიდებულ სანთლებს).....	180
*** (მჭმუნვარე მთვარე).....	181
*** (რომ გღვეს თოვლის სისპეტაკე).....	182
*** (არ ჩანს ხიდი მირაბოს).....	183
*** (ბიბლიური კოლხეთი).....	184
თეთრი ვარდი.....	185
*** (აკ).....	186
*** (არწივივით).....	187
კოლხეთის ისტორია.....	188

*** (საწუთროში მოვლენილ).....	189
სულის ხსოვნა.....	190
ხილვა: საული.....	191
სიყვარულის ბორბალი.....	192
იერიქონის ესმით საყვირი.....	193
მე სახლს ვაგებ საღ კლდეზე.....	194
ხილვა: სვიმონ კვირინელი.....	195
სდედათ მზერა ამურის.....	196
პავლე და იოანე მოციქულები.....	197
*** (უნდა სდიო ცრუ საწუთროს).....	198
სიმაღლე და სიწმინდე.....	199
გაზაფხულის კარავი.....	200
*** (გიზგიზებს ცეცხლი მარადიული).....	201
„სადა არს, აბელ, ძმაი შენი...“.....	202
*** (რაც დრო გადის...).....	203
*** (ჩამოაჭენებს ცისკარს არაგვი).....	204
ხილვა: სოლომონ და ელისე.....	205
ოტარიდი.....	206
*** (ცა აიმღვრა და მის სულში).....	207
*** (სიხარულის მაღალ ხატს).....	208
ლაშარობა-77.....	209
*** (გაგიდა ორი ათასწლეული).....	210
*** (ცაში იფრენენ გავაზად).....	211
*** (ზეცისკენ მიიღტვი).....	212

*** (მაშრიყიდან).....	213
უდაბნო უდაბნოთა.....	214
*** (სიხარულის ედემში).....	215
*** (მოვა და...).....	216
*** (ვარსკვლავებისგან ცა დაწრეტილა).....	217
მზე და ფარი.....	218
*** (ზღვის ღმერთს სანთლებს უნთებდნენ).....	219
ფშაგ-ხევსურეთში.....	220
მაღალი და დიადი.....	221
შურუფაქი, კოლხა, ური.....	222
მზის გულისცემას.....	223
ღალატის ყვავილი.....	224
*** (ადამის ძის დიდი ვალი).....	225
*** (ცის წუხილი კრთება ელვად).....	226
*** (ლაჟვარდებიდან მზირალი).....	227
*** (ვარსკვლავები გზას უთმობენ).....	228
*** (ელვის ოქრომკერდით ნაქარგს).....	229
*** (მზემ ყივილზე ოქროს მამლის).....	230
*** (ცხრა ზღვისა და ცხრა მთის იქით).....	231
*** (როს გაწყვეტენ ელვის აღვირს).....	232
არიმანს და მეფისტოფელს.....	233
რჯულბადლს, რჯული მოგცა მოსემ.....	234
სუმერ-სუბარ-სასპერი.....	235

ორი მოციქული.....	236
ტიციანის „მონანიე მარიამ მაგდალინელის“ სურათთან.....	237
***შორეთს მიმავალ შენს გემს).....	238
***(მამლის ყვილზე აღსავლით).....	239
იოანე პეტრიწი.....	240
***(მზის და მთვარის შეხვედრა).....	241
სარეცელზე პროკურუსტეს.....	242
***(ცა).....	243
მზე, ფარი და მახვილი.....	244
***(ელვამ ცა გადაპარსა).....	245
***(სიხარულის გზებით მავალს).....	246
მეჩანგე და შაირმთხზველი.....	247
***(ვარსკვლავებით გაღვივიებულ).....	248
ღამის ხე.....	249
***(ქუხილისა და მეხთატეხას).....	250
***(საწყალ დედამიწაზე).....	251
***(ზეცის გახსნის მომლოდინეს).....	252
რიყე-XIX საუკუნე.....	253
ფიქრით მისდევ დინებას.....	254
***(ქაოსებიდან ამოსულები).....	255
ინდოეთში.....	256

2020.08.01

"საერთაშორისო მკვლევარების" 100-დღეობის
პროგრამის, საქართველოს მეცნიერების, განვითარების
და მკვლევარების საერთაშორისო საზოგადოების
სამსახურის განხორციელების მიზნით დაგეგმილი
"საერთაშორისო მკვლევარების" 100-დღეობის
პროგრამის, 3-6 კლასის ბავშვებისთვის
დაგეგმილი თანამშრომლობის, მისი განხორციელების
და დახმარების მიზნით დაგეგმილი პროგრამის
3-6 კლასის ბავშვების, უსაფრთხოების 100-დღეობის
პროგრამის განხორციელების მიზნით დაგეგმილი
პროგრამის განხორციელების მიზნით.

საერთაშორისო მკვლევარების
2020.08.01



ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 23

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 23

გამომცემლობის

რედაქტორი

– ვიეტა აბშილავა

მხატვარი

– სპარტაკ ცინცაძე

მხატვრული რედაქტორი

– ირაკლი უშვერიძე

ტექნიკური რედაქტორი

– ნანა ღუმბაძე

კორექტორი

– ება აბშილავა

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

– ნანა ღა ღავით მანდაშვილები

გამომცემელი – ზურაბ დოლბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი

2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. კოლიტაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com